

დავით ქართველიშვილი

ექვსი სიზმარი

მოთხრობები



გაერ სულაქაძის
განმომცემლობა

დავით ქართველიშვილი
ეჭვსი სიზმარი
მოთხრობები

რედაქტორი: ნინო გოგალაძე
ყდის დიზაინერი: ნათია კვარაცხელია

© დავით ქართველიშვილი, 2011
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2011
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ელფოსტა: info@sulakauri.ge

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-334-1

David Kartvelishvili
SHORT STORIES

Cover design by Natia Kvaratskhelia

© David Kartvelishvili, 2011
All rights reserved

Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi 2011
150 Agmashenebeli Ave. 0112 Tbilisi. Georgia
E-mail: info@sulakauri.ge

ედღენება ზაზა თვარაძეს

შინაარსი

ტატო და ელენე – მელოდრამა.....	7
საქმის წინ და საქმე.....	35
ნავედი.....	45
80 წელი დედამიწაზე.....	67
VITA NOVA – დღე პირველი	79
1 : 3	97

ტატო და ელენე – მელოდრამა

ვაგზლის კაფეში

ელენე ვაგზლის კაფეში იჯდა. ჩაის სვამდა, სიგარეტს ენეოდა და თავი კინოში ეგონა. გვერდითა მაგიდასთან აზერბაიჯანელები ისხდნენ – ქალი და კაცი. ქალი ლეპტოპის ეკრანს იყო მიჩერებული, კაცი ჭამდა. ელენემ სიგარეტი დააფერფლა და ჩაი მოსვა. ელენეს არ უყვარდა მოსაწყენი ფილმები, დუნე, უსაშველოდ განელილი კადრებით, ახლა სწორედ ასეთი ფილმის პერსონაჟი ეგონა თავი. „საერთოდ რატომ დავიბადე?“ – გაიფიქრა ელენემ და საათს დახედა. პირველის ნახევარი იყო, მატარებელი განრიგის მიხედვით თხუთმეტ წუთში უნდა მოსულიყო. „საერთოდ რატომ დავიბადე?“, – კვლავ გაიფიქრა ელენემ და სიგარეტი საფერფლეში ჩააქრო. შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა. „რა უაზრობაა ყველაფერი“. ელენე თავჩალუნული იჯდა.

– შეიძლება? – ელენემ თავი აწია, მის წინ უცნობი კაცი იდგა. უცნობ კაცს მარჯვენა ხელში ჩაის ერთჯერადი ჭიქა ეჭირა, მარცხენაში – ერთჯერადი თეფში, რომელზეც ოთხად დაჭრილი პიცა იდო. ელენეს არ უყვარდა პიცა. ელენემ აქეთ-იქით მიმოიხედა. რამდენიმე თავისუფალი მაგიდა იყო და რატომ მოადგა ეს კაცი მაინცდამაინც მის მაგიდას?.. „მოვეწონე?“ გაიფიქრა ელენემ და უცნობი კაცი უკვე ყურადღებით შეათვალიერა.

– დაბრძანდით, – უთხრა ელენემ უცნობ კაცს. უცნობმა კაცმა ჯერ ჭიქა და თეფში დადო მაგიდაზე, შემდეგ დაჯდა. ჭიქა და თეფში თავისკენ მიიწია და ჭამა დაიწყო.

„არა, არ მოვწონებივარ, ესეთ კარგ ბიჭებს მე არ მოვწონვარ, საერთოდ რატომ დავიბადე?“ – გაიფიქრა ელენემ და ნერვიულად წამოდგა. მაგიდიდან ჩანთა აიღო.

– მე აქ თქვენ გამო დავჯექი, თქვენ კი მივდიხართ... ელენემ უცნობ კაცს შეხედა:

– ბატონო?

– მე ტატო ვარ, დაბრძანდით...

ელენე დაჯდა და ჩანთა მუხლებზე დაიდო.

– არა, ვერ დავჯდები, მეჩქარება, – თქვა უცებ და წამოდგომა დააპირა.

„უკვე ვზივარ, მაგრამ ხომ შემიძლია ავდგე, – გაიფიქრა ელენემ და ჩანთა მაგიდაზე დადო. „მთავარი, მანიაკი არ იყოს“, – ელენემ ჩანთას ყურში მოკიდა მარჯვენა ხელი...

– მანიაკი არ ვარ, – თქვა ტატომ და გაიღიმა, – ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით, ისე, ზოგადად, ალბათ ნებისმიერი ადამიანი ცოტათი მაინც მანიაკია...

„მაბამს“, – გაიფიქრა ელენემ და ჩანთის ყურს ხელი გაუშვა.

მეზობელ მაგიდასთან მსხდომი აზერბაიჯანელი კაცი და ქალი შელაპარაკდნენ. ქალი რალაცას უმტკიცებდა კაცს, კაცი უარის ნიშნად თავს აქნევდა. ელენე აზერბაიჯანელ ქალს და კაცს უყურებდა და ფიქრობდა: „ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი ბოლოს მაინც ჩხუბით მთავრდება.“

ელენემ ტატოს შეხედა:

– ესე იგი, ცოტათი ყველანი მანიაკები ვართ?!

ტატომ პიცის ნაჭერი თეფშზე დადო.

– კი, ცოტათი ყველანი მანიაკები ვართ, – თქვა ტატომ და სახე დაჯლანა.

ელენეს შეეშინდა და შიშისგან გაიცინა, შემდეგ თქვა:

– მე მართლა უნდა ნავიდე, სადაცაა, ჩემი მატარებელი მოვა, – ელენემ საათს დახედა, – ხუთ წუთში...

– მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა, – ნაიჩურჩულა ტატომ და ჩაი მოსვა.

ელენეს არ უყვარდა პოეზია, უფრო სწორად, გაურბოდა.

– ბათუმში მიდიხართ? – კითხა ტატომ.

– კი.

– ერთად ნავიდეთ, – თქვა ტატომ, ხელსახოცი აიღო და ხელები გაინმინდა.

ელენემ დაბნეულობისგან ნერწყვი გადაყლაპა...

ვაგონ-რესტორანში

ტატოს მარჯვენა ხელში დანა ეჭირა და ვაშლს ფცქენდა.

„ეხლა უცებ რომ წამოდგეს და ყელი გამომჭრას, ყველაფერი დამთავრდება“, – გაიფიქრა ელენემ და რამდენიმე წამით თვალები დახუჭა. ყელგამოჭრილი საკუთარი თავი დაინახა და გააჟრიალა. თვალები გაახილა. „არ მინდა სიკვდილი“, – დაასკვნა ელენემ.

ტატომ გაფცქენილი ვაშლი შუაზე გაჭრა. ელენემ

თეფშზე დადებულ ორ ნაწილად გაჭრილ ვაშლს დახედა. ტატომ თეფში აიღო და ელენეს გაუწოდა. ელენემ ვაშლი აიღო და ჩაკბიჩა. ტატომ თეფში მაგიდაზე დადო.

– თქვენ არ გინდათ ვაშლი? – კითხა ელენემ და მოკბეჩილი ვაშლის ნაჭერი პირისკენ წაიღო.

ტატომ კვლავ დანა აიღო, ელენემ უნებურად თავისუფალი ხელი ყელზე გაისვა.

– მე ვაშლის დაჭრა მიყვარს, – თქვა ტატომ და ვაშლის ნაჭერი შუაზე გაჭრა, – იყო ძველად ასეთი ფილოსოფოსი თალესი, რომელიც ამტკიცებდა...

– თალესი, – გაიმოერა ელენემ, – არ გამიგია... და რას ამტკიცებდა ეს ფილოსოფოსი თალესი?

– ისეთს არაფერს, – ტატომ ორად გაჭრილი ვაშლი ოთხ ნაჭრად აქცია, – ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მატარებლით მგზავრობა, შენ?

– მეც, ბორბლების ხმა მომწონდა. შენ მოგწონდა ბორბლების ხმა?

ტატო და ელენე შენობით ფორმაზე გადავიდნენ. ბავშვობის გახსენება სხვანაირად შეუძლებელი იყო.

– მეც ძალიან, დგნ-დგნ, დგნ-დგნ... – ტატომ გაიღიმა, – მატარებლის ხმა არ შეცვლილა, ჩვენ შევიცვალეთ...

ელენეს თვალწინ ძველი ფოტო დაუდგა – სკვერში რამდენიმე დაქალთან ერთად გრძელ სკამზე იჯდა და იღიმოდა.

– კი, ჩვენ შევიცვალეთ, – თქვა ელენემ სევდიანად, – შენ რამდენი წლის ხარ?

– ოცდათხუთმეტის, – ტატომ დანა მაგიდაზე დადო და ელენეს შეხედა, – შენ?

– ოცდაათის, – თქვა ელენემ და გაიფიქრა – „კიდევ ერთი ამდენი და არავინ აღარაფერს მკითხავს“.

ვაგონ-რესტორნის კარი ხმაურით გაიღო. ვაგონ-რესტორანში თინეიჯერები შემოვიდნენ. რამდენიმე გოგო და ერთი ბიჭი. ხმაურით მიუსხდნენ მაგიდას. ხმაურით აირჩიეს საჭმელები, ხმაურით შეუკვეთეს არჩეული საჭმელები ოფიციანტს, შეკვეთის მოლოდინში ხმაურით გაჭორეს ვილაც ლაშუნა და სოფკა.

– აურზაური არაფრის გამო, – ჩაილაპარაკა ტატომ. ელენემ გაიღიმა.

– შექსპირი ვიცი, ვინც იყო, – ელენეს მოერიდა და აღარ თქვა, რომ შექსპირი მისი საყვარელი მწერალი იყო. ელენეს არ უყვარდა მატრაბაზი ადამიანები. ელენეს რამდენიმე გაგონილი იდიოტიზმი გაახსენდა: „ვგიჟდები ტარკოვსკიზე და ბერგმანზე...“, „ო, მარსელ პრუსტი!..“, „ჩვენი თაობა დოსტოევსკიზეა გაზრდილი...“

„ღმერთო, რატომ დავიბადე ესეთ სისულელეში“, – ელენემ უნებურად ზევით აიხედა. ვაგონ-რესტორნის ჭერი თეთრი იყო. ადრე თეთრი ფერი ელენეს ამშვიდებდა, ადრე.

ელენემ თავი დანია, ტატოს შეხედა.

– ჩემგან რა გინდა?

სასტუმროს რესტორანში

შემწვარი კალმახის ქვეშ მწვანე ფოთლები იდო, კუთხეებში – ლიმონის თითო ნაჭერი. ელენეს უყვარდა შემწვარი კალმახი, მწვანე ფოთლებიც, ლიმონი – ნაკლებად; ბავშვობაში დედა აძალებდა ლიმონის ჭამას,

რალაცისტვის იყო ლიმონი ძალიან სასარგებლო, შეიძლება სისხლის მიმოქცევისთვის, ელენეს ზუსტად აღარ ახსოვდა...

– მამაჩემს ძალიან უყვარდა სათევზაოდ სიარული, – თქვა ტატომ, – ერთხელ მეც წამიყვანა. მამა მდინარესთან იდგა, ხელში ანკესი ეჭირა და ღმერთს თხოვდა, რომ თევზი დაეჭირა, მე ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორი იყო ღმერთი და როგორ უსმენდა მამას. შენი აზრით, როგორია ღმერთი?

– ამბობენ, რომ კეთილი, – გაიღიმა ელენემ და გაიმეორა, – ამბობენ...

– ფიზიკურად როგორი გგონია?

– ძალიან სიმპათიური, – თქვა ელენემ და ორივემ გაიცინა.

ბავშვობაში ელენეს ღმერთი ეგონა დიდწვერებიანი კაცი, ლამაზი თვალებით და ფართო შუბლით.

– ღმერთის ფიზიკურობა რთული საკითხია, – თქვა ტატომ და შემწვარ კალმახს დანა დაუსვა.

– დაიჭირა მამამ თევზი? – კითხა ელენემ ტატოს და მარჯვენა ხელი თმაზე გადაისვა.

– კი, დაიჭირა, მე დავინყე ტირილი, ცოდოა, ცოდოა-თქო, ვეუბნებოდი მამას, მამამ ამიხსნა, რომ თევზი ცოდო არ შეიძლება იყოს, რომ თევზებიც მშვენივრად ჭამენ ადამიანებს.

ელენემ წარმოიდგინა, როგორ იწვა ზღვის ფსკერზე და როგორ ჭამდნენ თევზები, როგორ აწინკნიდნენ პატარა ნაწილებად ხორცს.

ტატომ ელენეს კალმახის ნაჭერი დაუდო თეფშზე. ელენემ დაუნდობლად დაუსვა კალმახს დანა. კალმახი გემრიელი იყო. ელენეს უხაროდა, რომ თვითონ ჭამდა

და არა – მას ჭამდნენ. „უკანა კბილები მაქვს გასაკეთებელი“, – დაასკვნა ელენემ.

რესტორანს დიდი ფაჯრები ქონდა. ფანჯრებზე ლურჯი ფარდები იყო ჩამოფარებული. ტატო წამოდგა, ერთ-ერთ ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადანია და განათებულ ქალაქს გახედა. მარჯვენა ხელი მინას მიადო, რამდენიმე ხანს ასე იყო. შემდეგ მაგიდასთან დაბრუნდა. ელენეს უნდოდა, ტატოსთვის ეკითხა, რატომ ადგა, მაგრამ ვერ კითხა, შეეშინდა. „რატომ ვარ ამ ადამიანთან ერთად?“ – კითხა შეშინებულმა საკუთარ თავს. სხვა ბევრი შეკითხვის მსგავსად, არც ამ კითხვაზე ქონდა პასუხი.

ტატომ მარჯვენა ხელი შუბლზე მიიღო...

ზღვის პირას, მიტოვებულ კაფეში

ზღვა იყო მშვიდი. ელენე და ტატო ზღვისპირა მიტოვებულ კაფეში იდგნენ, რადგან სკამები არ იყო. ელენეს ხელში მზესუმზირით ნახევრად სავსე პატარა პარკი ეჭირა. ელენე და ტატო მზესუმზირას აკნატუნებდნენ.

– ამ ადგილს ალბათ ვინმე იყიდის, – თქვა ელენემ.

– ნაყიდი თუ არ აქვს უკვე ვინმეს, კი, აუცილებლად იყიდის...

ელენემ მიტოვებული კაფეს ადგილზე წარმოიდგინა ახალი შენობა, ხალხი და მოენონა. პარკში ჩაყო მარჯვენა ხელი და მზესუმზირას მოურიანა, შემდეგ რამდენიმე ცალი ამოიღო და სათითაოდ გაფცქენა. ტატო ჩენჩოებიანად ჭამდა მზესუმზირას. ელენეს ეს

არ მოწონდა, მაგრამ შენიშვნას არ აძლევდა ტატოს.

– არ მეტყვი, მაინც რას ამბობდა ის ძველი ფილოსოფოსი, რა ერქვა?

– თალესი...

– ჰო, თალესი, რას ამბობდა...

– ისეთს არაფერს, – ტატომ პარკიდან ნახევარი მუჭა მზესუმზირა ამოიღო, – ნოემბერში ზღვაზე რა გინდა?

– ისეთი არაფერი, – ელენემ გაიცინა, – კაი გეტყვი: ორდღიანი კონფერენციაა – „ომი და კავკასია“ და მოხსენება უნდა წავიკითხო...

– და რა უნდა თქვა, – ტატომ მზესუმზირა პარკში ჩაყარა, – აღარ მინდა.

– არც მე, – ელენემ პარკს თავი მოუკრა.

ოდნავ მოშორებთ ძალღმა ძუნძულით ჩაიარა.

– დავიღალე და მეძინება, – თქვა ელენემ.

– სასტუმროში წავიდეთ, – შეთავაზა ტატომ.

– შენ სად დაიძინებ?

– შენს ნომერში, – თქვა ტატომ და ზღვას გახედა.

გზაზე ელენემ მზესუმზირიანი პარკი ნაგვის ყუთში ჩააგდო.

ელენეს ნომერში

ელენე ფანჯრის რაფასთან იდგა. თეთრი ჭიქა ორივე ხელით ეჭირა და ჩაის სულს უბერავდა...

ტატო ელენეს პირდაპირ, მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე თეფში იდო, თეფშზე – ორცხოებილები.

– არა მგონია, ყველა კაცი ამოგყავდეს შენს ნომერ-

ში, – თქვა ტატომ და ორცხოობილა აილო, შეათვალეირა და უკან დადო.

– რა გაინტერესებს, ბოზი ვარ თუ არა? – ელენემ გაილიმა და ჩაი მოსვა.

– მოგწონვარ თუ არა?!.

– გინდა, ჩემი მოხსენების დასაწყისი წაგიკითხო? ტატომ გაილიმა.

– წამიკითხე.

ელენემ ჭიქა მაგიდაზე დადო, ტუმბოსთან მივიდა. უჯრა გამოსწია, ფურცლები ამოიღო და უჯრა მიხურა. ფურცლებს დახედა. „რა სისულელეა ეს ყველაფერი“, – გაიფიქრა და კითხვა დაიწყო:

– კავკასია ყოველთვის რთული რეგიონი იყო, აქ იშვიათად იყო მშვიდობა... კავკასიელი ხალხებისთვის... – ელენემ კითხვა შეწყვიტა, ტატოს შეხედა, – აღარ წავიკითხავ, არ მინდა... – ფურცლები სანოლზე დაყარა.

– შენ რას აკეთებ ცხოვრებაში, იმის გარდა, რომ ქალებს ეკიდები?

– შენ პირველი ხარ, არავის არასდროს არ ავკიდებხარ.

– ყველას ეგრე ეუბნები?!

– თუ არ გჯერა, ნუ გჯერა...

– არ მჯერა...

– არადა გჯერა, უფრო სწორად, გინდა, რომ გჯეროდეს...

– რაღაც გკითხე...

– ვყიდულობ, ვყიდი, როგორც ყველა... განსაკუთრებულს არაფერს... შენგან განსხვავებით...

– რატომ დამცინი?! – ელენემ მაგიდიდან ჭიქა აიღო და ჩაი მოსვა.

– არ დაგცინი, – ტატო წამოდგა და ელენესთან მივიდა. ტატო ოდნავ მაღალი იყო ელენეზე, თვალებში ჩახედა და გაიმეორა, – არ დაგცინი.

ელენემ ორი ნაბიჯი გადადგა უკან.

– შენ იატაკზე დანვები, – თქვა ელენემ, ჭიქა ტუმბოზე დადო და სანოლიდან ფურცლები წამოკრიფა...

– უაზრობაა ცხოვრება, – თქვა ტატომ.

– რომ მოგცე, აზრიანი მაინც ვერ გახდება...

– შენ მომეცი დაა...

ორივეს სიცილი აუტყდა. სიცილი პირველმა ელენემ შეწყვიტა.

– შენ ნვები იატაკზე.

შუალამისას

– გლვიძავს? – ელენე სანოლზე წამოჯდა.

– კი, – ტატომ დაამთქნარა, – მღვიძავს.

ტატო იატაკზე იწვა. მარცხენა ხელი თავქვეშ ქონდა ამოდებული. ტატომ მეორეჯერ დაამთქნარა.

საკონფერენციო დარბაზში

ელენემ მოხსენების ტექსტი წაიკითხა, რამდენიმე შეკითხვას უპასუხა და გაითიშა. კონფერენციის მონაწილეების ჟესტებს ხედავდა, თუმცა რას ლაპარაკობდნენ ეს ადამიანები, არ ესმოდა. ასეთი რამ ერთი წლის წინაც დაემართა, როდესაც დაბომბილ ქალაქში ჩავიდა. ხედავდა ადამიანებს, მათ ჟესტებს, მაგრამ

არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ; დიქტოფონი ქონდა ჩართული და მათ ხმებს იწერდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ელენე თბილისში დაბრუნდა და ჩანერილი ხმები გაშიფრა, დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ყველაფერი ომისკენ მიდიოდა, ადამიანებისთვის ომის დაწყება მაინც მოულოდნელი იყო; ეს ომი სიკვდილივით იყო – ყველაფერი სიკვდილისკენ მიდის, მაგრამ სიკვდილი მაინც ყოველთვის მოულოდნელად მოდის.

ელენემ აქეთ-იქით გაიხედა. ამ სახეებს უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ხედავდა... „ნეტა ტატო რას აკეთებს?“ – გაიფიქრა ელენემ და უნებურად მხრები აიჩეჩა, შემდეგ მოულოდნელად გაიაზრა, რომ ტატოსთვის თავისი სახელი არ უთქვამს და არც ტატოს უკითხავს „იქნებ საერთოდ არ ქვია ტატო“, – ელენეს შეეშინდა. „რა უნდა ჩემგან?“ – ელენეს ამ შეკითხვაზე პასუხი არ ქონდა.

კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდა. ელენე მოსაწევ ოთახში შევიდა. სიგარეტს მოუკიდა... „მშია“, – გაიფიქრა ელენემ, სიგარეტი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა.

ტატო ელენეს ნომერში

ტატო ელენეს საწოლზე იწვა. ხელები გაშლილი ქონდა... ტატომ თვალები დახუჭა და ორი ჯარისკაცი დაინახა, ხელში უროები და დიდი ლურსმნები ეჭირათ. ლურსმნები ჯერ ხელისგულებზე დაადეს, შემდეგ უროები კარგად მოიმარჯვეს. ტატომ თვალები გაახ-

ილა. სანოლზე წამოჯდა, ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიფა. ყურმილი მეოთხე ზარზე აიღეს, ტატომ ყურმილი დაკიდა და კვლავ თვალები დახუჭა. ჯარისკაცები აღარ ჩანდნენ. მინდორზე იდგა... მარტო იყო. ხელში კომბალი ეჭირა. „სად არიან ჩემი ცხვრები?“ – ეკითხებოდა საკუთარ თავს.

ტატომ თვალები გაახილა, წამოდგა და სააბაზანოში შევიდა. რამდენიმე წამით სარკის წინ გაჩერდა. გაიღიმა, დაიმანჭა, ენა გამოუყო საკუთარ ანარეკლს, შემდეგ გაიხადა და კაბინაში შევიდა, წყალი მოუშვა, მარჯვენა ხელი შეუშვირა წყალს, შეამონმა, რამდენად ცხელი იყო – ზედმეტად. წყლის ტემპერატურა დაარეგულირა და შხაპის ქვეშ დადგა. თვალები დახუჭა და გაშეშდა.

ალაფურშეტი

ელენემ თეფში აიღო და მაგიდასთან მივიდა. ერთი ყველიანი ბლინი გადაიღო, ერთი ნაჭერი შემწვარი ქათამი, ერთი ნიგვზიანი ბადრიჯანი. იგრძნო, რომ უკნიდან ვიღაც მიუახლოვდა. მიიხედა. ელენეს უკან ჯაბა იდგა, მისი კოლეგა-კონკურენტი და თაყვანისმცემელი. ელენე და ჯაბა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ფონდის ოფისებში. ჯაბა ელენეს ყოველთვის სტანდარტულ კომპლიმენტებს ეუბნებოდა და სადღაც ეპატიუებოდა. ელენეს არ მონონდა ჯაბა.

– ძალიან საინტერესო მოხსენება იყო, – უთხრა ჯაბამ ელენეს.

ელენემ გაიღიმა.

– დიდი მადლობა, – ელენემ ქათმის ხორცი აიღო და განზრახ ველურად გაძიძგნა; „მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ისე იქცევიან, გეგონება ტუალეტში არ დადიოდნენ და ფრთიანი არსებები იყვნენ, სულ მკიდია ამათი ვითომ ზრდილობა, ვითომ წესრიგი, ვითომ ცხოვრება, დავიღალე...“

– კარგად გამოიყურები, – ჯაბამ მაგიდიდან ორი ჭიქა წითელი ღვინო აიღო, ერთი ელენეს გაუწოდა.

– არ მინდა, – უთხრა ელენემ ჯაბას, – და საერთოდ, არასდროს არ შეგხვდები და მითუმეტეს, არასდროს დავწვები შენთან, – ელენეს არც შეუხედავს ჯაბასთვის, ისე გაეცალა. პირველივე ჯგუფს შეუერთდა, სამნი იყვნენ, სამივე კონფლიქტოლოგი და თანამედროვე ომების შესახებ საუბრობდნენ.

– თანამედროვე ომი ლოკალურია, – ამტკიცებდა ერთ-ერთი.

– და რა არ არის ლოკალური? – გაანყვეტინა ელენემ, – ყველაფერი ლოკალურია: ცხოვრება, ურთიერთობები, და იცით რატომ? – კონფლიქტოლოგები დაბნეულად უყურებდნენ ელენეს, – უმრავლესობაში თქვენნაირი ტიპები რომ არიან, იმიტომ, არაფერზე არ ფიქრობთ, გაზუთხული ფრაზებით ლაპარაკობთ, გრანტის დამტკიცების გარდა არაფერზე არ ფიქრობთ.

ელენეს ცრემლები მოანვა, რომ არ ეტირა, პირი საჭმლით გამოიტენა.

ტატო ზღვის პირას, პურით ხელში

ტატო მარკეტში შევიდა, პური იყიდა, ნაყიდ პურს დახედა. „ნავალ, თოლიებს ვაჭმევ“, – გაიფიქრა და მარკეტიდან გამოვიდა. თმა ცუდად ქონდა გამშრალი. გაახსენდა, როგორ უმშრალებდა ბავშვობაში დედა თმას, გაელიმა. „დე, ცოტა ნელა, თავი მომძვრება“, – ჩაესმა თავისი ბავშვობისდროინდელი ხმა. ტატოს გაახსენდა, როგორი იყო მაშინ – პატარა გამხდარი ბიჭი. გაახსენდა, როგორი იყო დედა, როგორ სახლში ცხოვრობდნენ.

ზღვა ღელავდა, ზღვის თავზე თოლიები ფარფატებდნენ. ტატომ პურს პატარა ნაჭერი მოატეხა და ზღვისკენ გაისროლა, ერთ-ერთი თოლია ზღვისკენ დაეშვა. ტატომ მეორე ნატეხი მოატეხა პურს... შეცვივდა. ქურთუკის საყელო გახსნა, კაპიუშონი გამოიღო და თავზე წაიფარა, შემდეგ პურის ნატეხი ზღვაში ისროლა. ჰორიზონტს გახედა. „მგონი იქაც არაფერი არ არის“, – გაიფიქრა და კენჭებიან ნაპირს დახედა, კენჭი აიღო და დააფურთხა „ზღვა თუ... – კენჭი ამოატრიალა, – ხმელეთი?“ – კითხა საკუთარ თავს. „სულერთია“, – იღრიალა და კენჭი მთელი ძალით ცისკენ აისროლა... თვალი ვერ მიადევნა და ჩათვალა, რომ კენჭი ცაში დარჩა, გაელიმა, სწორედ ამ დროს იგრძნო, რომ თავში რაღაც დაეცა... ტატოს პური ხელიდან გაუვარდა.

ელენე სასტუმროს ნომერში

ელენემ იბანავა და ტანსაცმელი გამოიცვალა. საღამოს კაბა ჩაიცვა. სარკეთან დადგა. ჩაიხედა. ელენეს

იშვიათად მოწონდა საკუთარი თავი, არც ეხლა მოეწონა. სანოლზე ჩამოჯდა. „უშნო ვარ“, – გაიფიქრა ელენემ.

ბავშვობაში ელენეს დედა თმას უწნავდა და ნაწნავზე ცისფერ ბაფთას უკეთებდა. „რა ლამაზი გოგო მყავხარ“, – ეუბნებოდა დედა ელენეს და ელენეს ჯეროდა, რომ ლამაზი იყო, უხაროდა, რომ ლამაზი იყო, თუმცა წარმოდგენა არ ქონდა, რას ნიშნავდა სილამაზე და რაში შეიძლებოდა მისი გამოყენება.

ელენე წამოდგა. ხელები კაბაზე ჩამოიხვა. საათს დახედა. „ტატო ალბათ აღარ მოვა“, – გაიფიქრა. ელენე ვახშმად კონფერენციის მთავარი კოორდინატორის აგარაკზე იყო დაპატიჟებული.

ელენემ მაგიდიდან ჩანთა აიღო და კარისკენ წავიდა. კართან გაჩერდა. მოტრიალდა. სანოლთან მივიდა, მუხლებზე დადგა და სანოლის ქვეშ შეიხედა. „არ არის და აღარც მოვა“.

წამოდგა და სწრაფად გავიდა ნომრიდან. დერეფანში კაბა მარჯვენა ხელით ჩამოიფერთხა.

კაფემი

ტატო კაფემი იჯდა და ჩაის სვამდა. დროდადრო თავზე იკიდებდა ხელს და თითებს კოპზე ფრთხილად ისვამდა. კოპი თანდათან დიდდებოდა... ტატომ სიგარეტს მოუკიდა. გააბოლა. ტატო ფანჯარასთან იჯდა. გამვლელებს უყურებდა. ჩაი უგემური იყო. კოპი დიდდებოდა, გამვლელები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. ტატომ სიგარეტი საფერფლეში დაფერთხა.

– ზაფხული სულ სხვაა, – უთხრა ერთმა ოფიცინანტმა მეორეს.

– ჰო, – თქვა მეორემ.

– კიდევ ერთი ჩაი, – უთხრა ტატომ ორივე ოფიცინანტს.

მხოლოდ ერთი გაინძრა.

ვახშამი აგარაკზე

ელენე განზრახ ჯაბას გვერდით დაჯდა. ჯაბას ერთდროულად გაუკვირდა და ესიამოვნა ელენეს საქციელი. ჯაბამ ელენეს წითელი ღვინო დაუსხა. ელენემ ჭიქა აიღო და ღვინო მოსვა.

– შენი აზრით, ეს ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი, თუ შემთხვევით ხდება? – კითხა ელენემ ჯაბას.

ჯაბა დაიბნა:

– რა ყველაფერი?

– ცხოვრება.

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჯაბამ, – არ მიფიქრია.

– არც მე ვიცი, – თქვა ელენემ, – გაგიმარჯოს.

ელენემ ჯაბას ჭიქა მიუჭახუნა. ჯაბას უხაროდა ელენეს არცოდნა. დალიეს. ჯაბამ სალათიანი თეფში აიღო.

ტატო ავტობუსში

ტატო პირველივე ავტობუსში ავიდა. ტატოს არ აინტერესებდა, საით მიდიოდა ავტობუსი. ბავშვების

ნინ დაჯდა. ბავშვები დედასთან ერთად იყვნენ. დედა დალლილი იყო. გამოქარული მზერით იყურებოდა ფანჯარაში. ტატოს ერთხელ შეხედა. ბავშვები ხმას არ იღებდნენ, ერთმანეთს ფეხს ფეხზე ურტყამდნენ. ორნი იყვნენ. ბიჭები.

– ბავშვებო, რატომ დაიბადეთ თუ იცით? – კითხა ტატომ ბავშვებს.

ბავშვებმა და დედამ დაბნეულად შეხედეს ტატოს. უფრო სწორად, ბავშვებმა მორცხვად და დაბნეულად, დედამ – გაკვირვებით და დაბნეულად.

– არა, – უთხრა ერთ-ერთმა და თავი მორცხვად ჩაღუნა.

– დაიბადეთ იმიტომ, რომ მოკვდეთ, – ტატომ ბავშვებს გაუღიმა.

ბავშვები ტატოს დააკვირდნენ, ხოლო დედამ ტატოს შეუტია:

– რეებს ეუბნებით ბავშვებს!

– სიმართლეს, ქალბატონო.

ქალი წამოდგა. „თავში რომ მთხლიშოს, ღირსი ვარ“, – გაიფიქრა ტატომ და მოემზადა. „მთავარია, კოპზე არ მომხვდეს“, – ტატომ ოდნავ უკან გადაწია თავი.

დედამ ბავშვები წამოაყენა, ანიშნა, რომელ სკამზეც უნდა დამსხდარიყვნენ, შემდეგ ტატოს მოუბრუნდა:

– ბოროტი ხარ და უზრდელი, – დაახასიათა ტატო.

– არა, ქალბატონო, მე უპასუხისმგებლო ვარ, – გაიკრიჭა ტატო.

ცეკვა და დესერტი

ელენე მასპინძელმა მიიწვია საცეკვაოდ. ელენე დათანხმდა. ჯაბამ იეჭვიანა. ელენესთვის სულერთი იყო, ჯაბა იეჭვიანებდა თუ არა... ელენემ მასპინძელს მხრებზე დაადო ხელები, მასპინძელმა ხელები წელზე მოხვია ელენეს და ცეკვა დაიწყო. ცეკვავდნენ დუნედ.

– ელენე, აღფრთოვანებული ვარ თქვენი მოხსენებით, – უთხრა მასპინძელმა.

– თუ ჩემით? – გაიღიმა ელენემ.

– თავისთავად თქვენითაც...

– როგორც ქალით? – კითხა ელენემ.

მასპინძელმა მხოლოდ გაიღიმა.

– თქვენი აზრით, ცხოვრებაში ყველაფერი შემთხვევით ხდება თუ ბედისწერით? – ელენემ თვალეებში შეხედა მასპინძელს.

– ადამიანი თვითონ ირჩევს, ცხოვრება გაკეთებული არჩევანების ჯამია... აი, ჩვენ ვცეკვავთ და ეს ჩვენი არჩევანია, – თქვა მასპინძელმა და ორი ნაბიჯი გადადგა უკან, ელენე მიყვა. შემდეგ გაჩერდა, მასპინძლის მხებიდან ხელები აიღო, ერთი ნაბიჯი გადადგა უკან და მთელი ძალით თხლიშა სილა მარჯვენა ლოყაში. ყველამ მათ შეხედა.

– ჩემი ეს არჩევანი თქვენთვის ბედისწერაა თუ შემთხვევითობა?

მასპინძელმა სტუმრებს შეხედა, შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ლარნაკიდან ლამაზი ყვავილი ამოიღო, ელენესთან დაბრუნდა, ყვავილი გაუნოდა და უთხრა:

– იმედია, ჩემი არჩევანი თქვენთვის სასიამოვნოა... ელენემ ყვავილი გამოართვა და ჩაკბიჩა.

– დიდი მადლობა, ძალიან გემრიელია, – შემდეგ სტუმრებს შეხედა, – ქალბატონებო და ბატონებო! მივესალმეთ ჩვენს მასპინძელს და, უბრალოდ, ნამდვილ ჯენტლმენს...

სტუმრებმა ტაში დაუკრეს.

– რა ამალეღვებელი მომენტია არა?! – უთხრა ელენემ მასპინძელს და ყვავილი მეორეჯერ ჩაკბიჩა...

სასტუმროსთან

ტატო სასტუმროსთან იდგა. ხელები ჯიბეში ქონდა ჩაყოფილი.

„ყველაფერი კარგადაა...“ – ფიქრობდა ტატო.

ელენე და ჯაბა

– გამაცილებ? – კითხა ელენემ ჯაბას. ჯაბამ დაბნეულად შეხედა ელენეს. ელენემ გაუმეორა – გამაცილებ? ჯაბამ თავი დაუქნია.

ქუჩაში ციოდა. ელენემ ხელკავი გამოდო ჯაბას და უთხრა:

– რაც გითხარი, ხომ გახსოვს?! შენთან არასდროს არ დავნვები, მაგრამ მოგისმენ, როგორ გამეშიმავდი...

– ბატონო? – ჯაბა შეჩერდა.

– რა იყო, – ელენემ გაიღიმა, – არ გიფიქრია მაგაზე?

– მიფიქრია, – აღიარა ჯაბამ.

– მომიყევი... – ელენემ ჯაბას მკლავზე დაქაჩა, – თან ვიაროთ.

ჯაბამ პირველი ნაბიჯი გადადგა და თქვა:

– რა ვიცი... ჩვეულებრივად...

– ჩვეულებრივად საინტერესო არ არის, – ელენემ ტაქსის დაუქნია ხელი. მანქანა გაჩერდა. ელენე ტაქსისკენ წავიდა.

ჯაბამ მიაძახა:

– მოიცა, არ წახვიდე, გეტყვი...

ელენემ ტაქსის ანიშნა, წასულიყო. ტაქსი წავიდა. ელენე ჯაბასთან მივიდა.

– გისმენ.

ელენე ჯაბას თვალებში უყურებდა, ჯაბამ თავი დახარა და დაბალ ხმაზე თქვა:

– ჯერ გაგხდიდი, დაგაყენებდი შიშველს, ცოტა ხნით. მე სავარძელში ჩავჯდებოდი და... – ჯაბა გაჩუმდა, ელენეს შეხედა, ელენე უღიმოდა, – ჯაბამ გაიმეორა, – და, და... – ჩაიხვია ჯაბამ, – არაფერი, არაფერი არ მინდა.

– წამო ჩემთან ნომერში და გავაკეთოთ ეგ, – უთხრა ელენემ ჯაბას და სხვა ტაქსის დაუქნია ხელი.

ელენეს ნომერში

ელენემ ნომრის კარი გააღო. ელენე და ჯაბა ნომერში შევიდნენ. ჯაბას გული უცემდა. ელენემ შუქი აანთო. ჯაბამ ერთი წამით თვალები დახუჭა, შემდეგ გაახილა და სავარძელში მჯდომი უცნობი კაცი დაინახა. ჯაბა გაშეშდა. ელენე სანოლზე დაჯდა...

– ტატო, გაიცანი: ეს ჯაბაა, ჩემი კოლეგა და კონკურენტიც ერთდროულად, ნომერში ამომყვა,

უნდა, რომ გამაშიშვლოს, მერე მანდ, – ელენემ ტატოს სავარძელზე მიანიშნა, – დაჯდეს და ჩემზე დაანძ-რიოს...

ტატო წამოდგა.

– უკაცრავად, დაბრძანდით, ბატონო ჯაბა...

– არა, იცით, მე წავალ...

– ნახვალ არა... ჯერ გააჯვამ და მერე გასრიალ-დები.

ტატო ჯაბასკენ წავიდა. ჯაბამ რამდენიმე ნაბი-ჯი გადადგა უკან. ტატომ მკლავში ჩაავლო ხელი და ძალიან მშვიდად კითხა:

– ესე იგი, რას იზამთ, ბატონო ჯაბა?!

– წავალ, – ტატომ მკლავზე ხელი მოუჭირა, – უკაცრავად, გავაჯვამ და გავსრიალდები.

ტატომ ჯაბას ხელი გაუშვა.

ელენეს ნომერში (გაგრძელება)

ტატომ კარი მიკეცა და სანოლზე ელენეს გვერდით ჩამოჯდა, ხელი ხელზე დაადო და უთხრა:

– აღარ მინდა, დავიღალე, მოვრჩეთ.

ელენემ ტატოს შეხედა.

– მოვრჩეთ, კაი, – ელენემ ტატოს მხარზე დაადო თავი, – მე ძალიან ჩავერთე, შენზე ისე ვფიქრობდი, თითქოს მართლა არ გიცნობდი...

– დავრეკე, თვითონ მიპასუხა...

– მერე? – ელენემ თავი აწია.

– არაფერი, დავუკიდე...

– გინდა, რომ ნახო?

- კი.
- ნამოგყვე?
- არა.
- კაი.

ელენე ნამოდგა. შუქი ჩააქრო და გახდა დაიწყო.
ტატო სანოლზე გადაწვა...

დილა

ტატოს ცუდად ეძინა, უფრო სწორად, თითქმის არ ეძინა. გათენებისთანავე ნამოდგა, აბაზანაში შევიდა, შხაპი მიიღო და იქვე მოფსა. აბაზანიდან გამოვიდა, ჩაიცვა. ელენეს შეხედა, მიხვდა, რომ ელენეს არ ეძინა, უბრალოდ თავს იმძინარებდა. გაელიმა, ელენესთან მივიდა, თავზე აკოცა.

- ძალიან მიყვარხარ, - უთხრა ჩურჩულით.

ელენე მოიკუნტა.

ტატო კარისკენ წავიდა, კარი ფრთხილად გააღო და გავიდა. ელენემ კარის დაკეტვის ხმა გაიგო და სანოლზე სწრაფად წამოჯდა. აქეთ-იქით მიმოიხედა, შემდეგ ხელი ნიკაპზე გაისვა წერვიულად.

ტატო ტაქსიში

ტატომ ქურთუკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მძლოლს შეთავაზა, მძლოლმა თავი დაუქნია მადლობის ნიშნად და სიგარეტი ამოიღო, შემდეგ სანთებელა გააჩხაკუნა. დუმდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მძლოლმა დუმილი დაარღვია:

– მოვედით...

ტატომ მძლოლს ფული გადაუხადა და მანქანიდან გადმოვიდა...

ჰაერზე

ტატომ ღრმად ჩაისუნთქა, შემდეგ ამოისუნთქა. „რამდენი ჩასუნთქვაც არსებობს, იმდენიც – ამოსუნთქვა, – გაიფიქრა ტატომ, – ბალანსი სიკვდილის წინ ირღვევა“. ტატომ ქურთუკის საყელო გაისწორა და მის წინ მდგარი ძველი, სამსართულიანი სახლი შეათვალიერა. შემდეგ სახლისკენ წავიდა, სადარბაზოს კარი გააღო და შევიდა... ტატოს მეორე სართულზე ქონდა საქმე.

ელენე და სიხარული

ელენემ ჩემოდნები ჩაალაგა. ორივე ჩემოდანი სანოლზე დადო. დადო რიგრიგობით – ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, ჯერ თავისი, შემდეგ ტატოსი. „ძალიან კარგი, – გაიფიქრა ელენემ, – ნავალთ და აღარასოდეს დავბრუნდებით ამ მკვდარ ქვეყანაში“.

ელენე სავარძელში ჩაჯდა. ხელები სავარძლის სახელურებზე დააწყო და ღრმად ამოისუნთქა. „აღარასოდეს დავბრუნდებით ამ საშინელებაში“, – ფიქრობდა ელენე და უხაროდა. სიხარული ძირითადად ხან-

მოკლეა, ელენე რამდენიმე წამს იყო გახარებული, შემდეგ ტატოზე დაიწყო ნერვიულობა.

ტატო კართან

ტატომ კარზე საკუთარი გვარი წაიკითხა. ნერვიულად გადაისვა თავზე მარჯვენა ხელი – კოპზე მოუხვდა, ეტკინა... ქურთუკი ორივე ხელით დაქაჩა და ზარი დარეკა. ზარის დარეკვის შემდეგ კიდევ უფრო ანერვიულდა. უნებურად კიბისკენ გაიხედა, მაგრამ გაქცევა არ უფიქრია.

ტატომ ჯერ ფეხის ხმა გაიგო, შემდეგ საკეტის გადატრიალების ხმა. კარი გაიღო და ტატომ ის დაინახა, ვისი დანახვაც უნდოდა.

– გამარჯობა, მამა, – ტატო მამას მიესალმა.

ტატო წარსულში

მამა რომ გაქრა, ტატო 9 წლის იყო. გაზაფხულის ერთ ჩვეულებრივ დღეს ტატო სკოლიდან სახლში დაბრუნდა, სახლში მხოლოდ დედა და ბებია დახვდნენ. არ გაკვირვებია, მამა შუადღეს იშვიათად იყო სახლში, ამიტომაც არაფერი უთქვამს, ხელები დაიბანა და სამზარეულოში დაჯდა. საჭმელი ბებიამ გაუცხელა. ტატომ ჭამა დაიწყო. ჭამდა, როგორც ყოველთვის, სწრაფად, მაგრამ ამჯერად არც ბებიას და არც დედას შენიშვნა არ მიუციათ, ჭამის შემდეგ ტატომ საშინაო დავალება მოამზადა და ეზოში გავიდა სათამაშოდ.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც დედა აღარ წვებოდა ტატოს გვერდით და აღარ უყვებოდა ზღაპრებს. დედა უბრალოდ შედიოდა ტატოს საძინებელში, თავზე კოცნიდა, ტკბილ ძილს და კეთილ სიზმრებს უსურვებდა და საძინებლიდან გადიოდა.

იმ დღეს დედა ტატოს მიუწვა. ტატოს გაუხარდა. დედას მიეკრო. დედამ ტატოს თავზე გადაუსვა ხელი და უთხრა:

– მამა წავიდა.

– სად? – ტატომ ოდნავ აწია თავი.

– ტრაკში, – თქვა დედამ და ატირდა.

ტატო და მამა

ტატო და მამა პირისპირ დასხდნენ.

– რატომ მოხვედი? – კითხა მამამ. ღელავდა.

– ისე, – ტატოც ღელავდა.

ტატოს სხვანაირად ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

– მაშინ ვუყუროთ ერთმანეთს და რომ დაიღლები, წადი, – თქვა მამამ და ჩაახველა.

ტატოს სხვანაირად ქონდა ეს შეხვედრა წარმოდგენილი.

– კარგი.

თხუთმეტი წუთის განმავლობაში უყურა ტატომ მამას, შემდეგ ადგა და წამოვიდა. სადარბაზოდან გამოსულმა ტატომ გაიფიქრა: „ამ კაცზე ნერვიულობამ მოკლა დედა“. ტატო ზღვისკენ წავიდა. ზღვასთან გაჩერდა. ქურთუკი გაიხსნა, ქამარში გარჭობილი პის-

ტოლექტი ამოიღო და ზღვაში გადააგდო. მთელი ძალით ისროლა, ტატოს მთელი ძალა არ იყო დიდი...

ტატო და ელენე ჩემოდნებით

ჩემოდნები გაიყვეს. ელენეს მძიმე ჩემოდანი ტატოს ეჭირა, ტატოს მსუბუქი ჩემოდანი – ელენეს.

ელენემ ტატოს შეხედა და კითხვა:

– რა ქენი?

– ვერაფერი, – თქვა ტატომ და გაჩუმდა, თუმცა შეეძლო, თავი ემართლებინა.

თვითმფრინავში

ტატო ილუმინატორთან იჯდა. ელენემ თავი მხარზე დაადო.

– იცი, რა მიხარია?

ტატომ ელენეს დახედა.

– რა?

– ამ საშინელებაში რომ აღარ დავბრუნდებით არასდროს...

ტატომ ელენეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მოკიდა ნიკაპზე, ოდნავ მიანვა, თვითონ თავი ოდნავ დანია და ტატომ და ელენემ ერთმანეთს აკოცეს.

– მე ცაში მინდა რომ დავრჩეთ, – თქვა ტატომ.

საქმის წინა დასაქმე

1

დილიდან შუადღემდე წყალზე გავლას ვცდილობდი, არც ერთხელ არ გამომივიდა, არც ერთხელ არ მეყო რწმენა. ვიდექი ნაპირზე გალუმპული და მზეზე ვშრებოდი. ვფიქრობდი: „ქმედებაში რწმენის გამოხატვა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.“

2

ზღვას გავხედე. ზღვა იყო მშვიდი და უზარმაზარი, და კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რამხელა განსამარტოებელ სივრცეს ვკარგავდი იმის გამო, რომ წყალზე სიარული არ შემეძლო. ზღვის სიღრმეში გემი მიცურავდა თავისთვის...

3

ცას ავხედე, მზე დავინახე, მზის სხივებმა თვალები მომაჭუტინეს... ვიგრძენი, რომ გავშრი. დავიხარე, ფორმა ავიღე და ჩაცმა დავინწყე... ჩავიცვი... შარვლის ჯიბიდან საათი ამოვიღე, დავხედე, 2 საათი იყო. საათი

მარცხენა ხელზე გავიკეთე და ბაზისკენ ჩქარი ნაბიჯით
წავედი. სამის ნახევარზე პოლკოვნიკს ვხვდებოდი...

4

გზაზე გავიფიქრე, რომ ვერც პოლკოვნიკის ასაკს
და ვერც მის ჩინს ვერ მივალწევდი. ახალგაზრდა რომ
მოვკვდებოდი, ამის პირობა ბავშვობაში დავდე. მამა
ამბობდა: „სიკვდილს მხოლოდ ახალგაზრდობაში აქვს
აზრი, სანამ წამდვილად ცოცხალი ხარ, ყველა ვინც
35 წელს გადაცდება უკვე ცოცხალმკვდარია, ყველა,
35 წელს გადაცილებული დინებას მისდევს, დინებას
კი ტრაკში მივყავართ... 35 წლამდე მოკვდი, შვილო.
აუცილებლად 35 წლამდე...“

„რეებს ეუბნები ბავშვს, შე არანორმალურო!“ –
ეჩხუბებოდა დედა მამას.

ამ დროს მამა ყოველთვის მე მიყურებდა და მე მას
თავს ვუქნევდი იმის ნიშნად, რომ 35 წლამდე აუცილებ-
ლად მოვკვდებოდი, 18 წლის რომ გავხდი, ჯარში
მოხალისედ ჩავეწერე...

5

პოლკოვნიკი სავარძელში იჯდა, სიგარეტს ეწეოდა,
სიგარეტი მარცხენა ხელის თითებით ეჭირა. მანიშნა,
რომ მის პირდაპირ დავმჯდარიყავი... დავჯექი. მკითხა:

– გამოგივიდა?

– არა.

– შეუძლებელია, დამიჯერე. არა, არ დამიჯერო, მაინც უნდა ცადო, მაგრამ შეუძლებელია...

– მაგრამ მან ხომ თქვა, რომ შესაძლებელია, თუ გნამს...

– რწმენაა შეუძლებელი, – პოლკოვნიკმა სიგარეტი საფერფლეში დააფერფლა, – მგონი მისი ყველა სიტყვა მეტაფორაა...

– ვერ დაგეთანხმებით, არ მგონია...

6

პოლკოვნიკი წამოდგა. სანერ მაგიდასთან მივიდა... სიგარეტი იქვე მდგარ საფერფლეში ჩააქრო, მარცხენა ხელით წიგნი აიღო, მარჯვენათი გადაფურცვლა დაიწყო, რამდენიმე წამის განმავლობაში ფურცლავდა, შემდეგ შეწყვიტა; ერთი წამით შემომხედა, მერე წიგნს ჩახედა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

– „მაშინ მისმა ძმებმა უთხრეს მას: წადი აქედან და მიდი იუდეაში, რათა შენმა მოწაფეებმაც იხილონ შენი საქმეები, რომელთაც აკეთებ, რადგან ფარულად არავინ არაფერს არ აკეთებს, არამედ თავის გამოჩენას ეძებს. რაკი ასეთ საქმეებს აკეთებ, გამოეცხადე წუთისოფელს – რადგან მის ძმებსაც კი არ სწამდათ მისი“.

პოლკოვნიკმა წიგნი დახურა და მაგიდაზე დადო, შემდეგ შემომხედა და მითხრა:

– რწმენა შეუძლებელია...

პოლკოვნიკმა სანერი მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან ფურცელი ამოაცურა და უჯრა მიხურა, მანიშნა, მასთან მივსულიყავი... ნამოვდექი, ფორმა შევისწორე, პიჯაკი კალთებით დავქაჩე და პოლკოვნიკთან მივედი. პოლკოვნიკმა ფურცელი გამომინოდა...

– ეს ბრძანება გენშტაბიდან მოვიდა, შტურმს დღეს ღამე ვიწყებთ...

ბრძანება ბოლომდე ჩავიკითხე, პოლკოვნიკს შეეხედე და ვუთხარი:

– მგონი ცოტა ადრეა...

– ჩვენ ბრძანებებს არ განვიხილავთ, ჩვენ ბრძანებებს მხოლოდ ვასრულებთ, სამწუხაროდ. – პოლკოვნიკს თავი დავუქნიე, მან განაგრძო, – შენ შენი ოცეულით აჯანყებულების მეთაურის სახლის დაკავება გევალება, მცირედი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი უფლება გაქვს, ისროლო, თუმცა სასურველია, ასე არ მოხდეს და მეთაურის ოჯახის წევრები ცოცხლად გადმოიყვანო აქეთ, ეს ჩვენ ხელმძღვანელობას ზემოქმედების დიდ საშუალებას მიცემს...

– შეიძლება ერთი არაოფიციალური შეკითხვა? – პოლკოვნიკმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, – რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?

– არანაირი, – პოლკოვნიკმა გამიღიმა და გაიმეორა, – არანაირი...

წინ ტანკები მიდიოდნენ, უკან ჩვენ მივყვებოდით. შენობებს ვაფეთქებდით, ტყეს ცეცხლი წავუკიდეთ, შემდეგ მე ჩემი ოცეულით გამოვეყავი მთავარ კოლონას და აჯანყებულების მეთაურის სახლისკენ წავედი... ჯარისკაცები მომყვებოდნენ, მესმოდა მათი მოძრაობის ხმები, ჩვენს ზურგს უკან ტყე და შენობები იწვოდა. უკან მხოლოდ ერთხელ მივიხედე.

აჯანყებულთა მეთაურის სახლის ეზოში უკანა შესასვლელიდან შევედი. „თუ ჩვეში ვინმე ინფორმატორია, სახლში არავინ იქნება“ – გავიფიქრე და სახლის კარს წიხლი ვთხლიშე, შევცვივდი. სასტუმრო ოთახში, მაგიდასთან შუახნის კაცი იჯდა, წინ ღვინის ბოთლი ედო... ვიცანი, აჯანყებულთა მეთაური იყო, შემომხედა და ძალიან წყნარად მითხრა:

– ჩემი ოჯახი საზღვარს იქითაა, სამაგიეროდ მე ვარ აქ, დალევ?

ჯარისკაცებს ვუბრძანე, გაეჩხრიკათ აჯანყებულთა მეთაური. ორმა მათგანმა საგულდაგულოდ გაჩხრიკა, ვერაფერი უპოვეს... აჯანყებულთა მეთაურის პირდაპირ დავჯექი.

– ჭიქები არ გაქვს?

– არა.

ვანიშნე, ბოთლი მოენოდებინა, მომანოდა. გამოვართვი.

– ყველაფრის დამთავრებას გაუმარჯოს, – ვთქვი, თვალელებში შევხედე და ბოთლი მოვიყუდე... უგემური ღვინო იყო... ბოთლი მაგიდაზე დავდგი...

– არაფერი არასდროს არ მთავრდება. თქვენ მე მომკლავთ, მაგრამ აჯანყება ამით არ დამთავრდება, მხოლოდ შეფერხდება. თუმცა ჩემთვის ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს, ჩემთვის უკვე აღარაფერს არ აქვს მნიშვნელობა...

10

წამოვდექი. პისტოლეტი ამოვიღე, შუბლზე მივადე და ვუთხარი:

– ეხლა შემიძლია მოგკლა...

ცალი თვალით ამომხედა და გამიღიმა.

– რა მნიშვნელობა აქვს; ვინ მომკლავს, რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოვკვდები...

– ბავშვებს და ქალებს რომ კლავდი, მაშინ ხომ ქონდა მნიშვნელობა? – იარალის ტარი ჩავარტყი თავში.

სკამიდან გადავარდა, ორივე ხელი თავზე მოიკიდა.

– მაშინ ქონდა, რომ ვკლავდი, მაშინ ქონდა, ეხლა აღარ აქვს...

წამოდგა და ისევ სკამზე დაჯდა, თავიდან სისხლი მოსდიოდა...

ჯარისკაცებმა სახლი გაჩხრიკეს, ვერაფერი იპოვეს... აჯანყებულთა მეთაურს ხელები შეეფუკარით. რაციით გადავეცი ინფორმაცია, რომ აჯანყებულთა მეთაური დავატყვევეთ და უსაფრთხოების კორიდორი გვჭირდება... მითხრეს, რომ რამდენიმე წუთში უზრუნველყოფდნენ ჩემს მოთხოვნას.

აჯანყებულთა მეთაური ჩემ წინ იდგა. ხელები შეკრული ქონდა. რაციით მაცნობეს, რომ კორიდორი გაკეთებულია და მოძრაობა დავიწყეთ... მივდიოდით ნელა. დაძაბულები ვიყავით. აჯანყებულთა მეთაური ალყაში გვყავდა, რომ არ გაქცეულიყო.

მთელი ღამე ვზეიმობდით გამარჯვებას, ხოლო დილით ვიგრძენი, რომ სულ სხვაგან გავიღვიძე.

მინდორში ვინექი მამასთან ერთად, მამა მიღიმოდა, კბილებით ბალახის ღერო ეჭირა და მიღიმოდა. წამოვდექი, მამას ზევიდან დავცქეროდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ მამა მიცქერდა ქვემოდან.

– ასეთი უცნაურია სიკვდილი, მაგრამ უკვე ველარაფერს შეცვლი, უკვე მკვდარი ხარ. დახვრეტა გეტკინა შვილო?

მამას სახე შეეცვალა, ცრემლები წამოუვიდა...

– არა, მამა, არ მტკენია.

14

დახვრეტამდე პოლკოვნიკის კაბინეტში ვიჯექი ხელებშეკრული...

– დედაქალაქში მთავრობა შეიცვალა. ის, ვინც შენ დაატყვევე, დღეს უკვე გმირია, შენ კი – მტერი და მოღალატე...

პოლკოვნიკი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა, მაგრამ აღარ ვუსმენდი...

15

მამას ხელი გავუწოდე და წამოვაყენე...

– წამო, მა, ზღვა ვიპოვოთ...

– ზღვა? – მკითხა მამამ და ბალახები ჩამოიფერთ-
ხა, – ზღვა რად გინდა?

გამელიმა...

– საქმე მაქვს...

2010 წ.

ნაპედი

I

ზარია. ვილაც მოვიდა. ვნევარ. საბანი მაქვს თავზე ნაფარებული. ჯერ კიდევ ნახევრად მძინავს. თვალებს ვახელ და ვხედავ, რომ ბნელში ვარ. ასე თავზე ნაფარებული საბნის გამოა. თვალებს ვხუჭავ და კვლავ სიბნელეში ვარ, ოღონდ ახლა დახუჭული თვალებით. კვლავ ზარია. ეტყობა, არც დედაა სახლში და არც ჩემი და. უცნობი ზარია. კარს იქით არც დედაჩემია და არც ჩემი და. ორივეს ზარს ვცნობ. დედას ზარი მოკლეა, მაგრამ ხშირად მეორდება, ხოლო ჩემი და ღილაკს თითს რომ მიაჭერს, კარის გაღებამდე არ იღებს. ესე იგი, ვილაც უცხოა. ადგომა მეზარება. გუშინ მამას ორმოცი იყო და დავთვერი. მაგრად დავთვერი, გამონაყოლში ვარ და ყველაფერი მეზარება. სისულელეს ვფიქრობ: მამა ხომ არ გაცოცხლდა? მე მამას ზარსაც ვცნობ, მაგრამ შეიძლება ის ორმოც დღეში ძალიან შეიცვალა და ახლა ყველაფერს ახლებურად აკეთებს, მათ შორის, ზარსაც ახლებურად რეკავს, რადგან ეს ზარი, რომელიც კვლავ მეორდება, მამას ზარი არ არის....

გუშინ ამბობდნენ, რომ სიკვდილი არ არსებობს, რომ მამა ცოცხალია. უბრალოდ სხვა სამყაროშია. მე ეს მჯერა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიკვდილის არ მეშინია. ადამიანი ვარ და ყველაზე მეტად არარსებული რამეების მეშინია...

ზარი კვლავ მეორდება. ვდგები. ფეხებს იატაკზე

ვატყაპუნებ. ვამთქნარებ. ვიზმორები. ჩუსტებში
ფეხებს ვყოფ და კარისკენ მივდივარ.

შუა გზაზე მახსენდება, რომ ნახევრად შიშველი
ვარ. ვფიქრობ: რა იცი, ვინ არის? ვბრუნდები ოთახში.
ვიცვამ. ამასობაში ზარი ორჯერ მეორდება და მე ხმა-
მალლა ვამბობ.

– ეხლავე, ეხლავე, მოვდივარ.

და აღარ ვჩქარობ. პირს ვიბან. კბილებს ვიხეხავ.

კართან მისული კვლავ სისულელეს ვფიქრობ:
მართლა მამა რომ იყოს, რა მაგარი იქნება! ძალიან
მაგარი იქნება. როგორც კი კარს გავაღებ, მომაყრის და
მომაყრის: ან გასაღები ჩაგეყოლებინათ, ან სწრაფად
იმოქმედეთ. დედაშენი და შენი და სად არიან? მე
მხრებს ავიჩეჩავ, შემდეგ მამას ჩავეხუტები. ვგრძნობ,
რომ, ცოტაც და, ავტირდები, მაგრამ, როგორც ყოველ-
თვის, ცრემლებს ვყლაპავ და ვფიქრობ, რომ ნერ-
წყვს ვყლაპავ.

შემდეგ კარს ვაღებ.

11

ისინი ორნი არიან. დგანან; ერთი მარცხნივ, მეორე –
მარჯვნივ. მე მიჩეხვინია, რომ ერთი მაღალი იყოს, მეო-
რე – დაბალი. ან ერთი ქერა იყოს და მეორე – შავგვ-
რემანი. მოკლედ, ადვილად გასარჩევები რომ იყვნენ,
ის მინდა, მაგრამ ასე არ არის.

ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. უფრო
სწორად, მე ვერ ვასხვავებ მათ ერთმანეთისგან. მაპა-
ტიეთ, ბატონებო.

კიდევ კარგი, რომ ერთი მარცხნივ დგას და მეორე – მარჯვნივ.

მარცხნივ მდგომი საბუთს მაჩვენებს და მეუბნება:

– კაპიტანი...

არ მაინტერესებს კაპიტანის სახელი და გვარი.

შემდეგ ის მარჯვნივ მდგომზე მანიშნებს და მეუბნება:

– მაიორი...

არც მაიორის სახელი და გვარი მაინტერესებს.

ვფიქრობ: მარცხნივ რომ დგას, ის კაპიტანია. მარჯვნივ რომ დგას, მაიორია.

მე მათ ვუყურებ და უკვე ვამჩნევ, რითი განსხვავდება მაიორი კაპიტანისგან. ის სულ ოდნავ უფრო ამაყია კაპიტანზე და კიდევ: კაპიტანი ლაპარაკობს, მაიორი ჩუმადაა.

ჩუმად ვარ მეც.

კაპიტანი ჩემს გვარსა და სახელს ამბობს და მეკითხება:

– თქვენ ხართ?

– დიახ. მე ვარ, – მეც ავლაპარაკდი.

– ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ.

პირი მიშრება, მაგრამ ვცდილობ და, ჩემი აზრით, ვხუმრობ:

– ასე შინაურულად ჩაცმული თუ საგარეოდ გამოვენყო?

– ჯობია, საგარეოდ გამოვენყოთ, – მეუბნება კაპიტანი.

მიხარია, რომ ის თქვენობით მომმართავს. ამგვარი მომართვა ხავსია და მე მას ვეჭიდები. ნეტავ რამდენ ხანს გაძლებს ეს ხავსი? ნეტავ დიდხანს გაძლოს!

– მობრძანდით, – მოლაპარაკე კაპიტანს და ჩუმ მაიორს სახლში ვეპატიყები, – ჩაცმას დრო ჭირდება და აქ ხომ არ იდგებით.

ისინი შემოდინან და აქამდე ჩუმი მაიორი ამბობს:

– აქა მშვიდობა!

მე მაიორს ვუღიმი. მაიორი არ მიღიმის. ვგრძნობ, რომ ხავსი სიმყარეს კარგავს. გულშეკუმშული კარს ვკეტავ.

ჯერჯერობით გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ სამი-ვეს ლაპარაკი შეგვიძლია.

III

მაიორი და კაპიტანი ლოჯში, დივანზე სხდებიან.

– ჩავიცმევ და დაგიბრუნდებით, – ვპირდები მაიორს და კაპიტანს. უფრო მაიორს, რადგან ჩინით ის მაღლა დგას კაპიტანზე. ჩემზე ეს უნებურად მოქმედებს.

– თუ გინდათ, ტანსაცმლის შერჩევაში დაგეხმარებით. ფერთა შეხამება, სოლიდარობა... – კაპიტანი ნამოდგომას აპირებს.

მე არ ვაცლი. ვეუბნები:

– არა, არ არის საჭირო, გმადლობთ, ბრძანდებოდეთ.

– კაპიტანი სამსახურში ჩადგომამდე დიზაინერი იყო, – ამბობს მაიორი და იღიმის. კაპიტანიც იღიმის. მე ვცდილობ გაღიმებას. ზუსტად არ ვიცი, კარგად გამომდის თუ არა. მგონი არ გამომდის, – ვხუმრობ. რა თქმა უნდა, ვხუმრობ.

მაიორი კაპიტანს მხარზე უტყყაპუნებს ხელს.

მე მათ ვტოვებ. საძინებელში შევდივარ. გარდ-
ერობის კარს ვაღებ. კარი ჭრიალით იღება, გარდ-
ერობი ძველია. ბებიას და ბაბუას (მე ვერცერთს ვერ
მოვესწარი. არც ვწუხვარ და არც მიხარია, ეს ამბა-
ვი. რატომ უნდა ვწუხდე? რატომ უნდა მიხაროდეს?)
ნაქონი.

მე არ მაქვს ლტოლვა ძველი ნივთებისადმი. ამი-
ტომაც დიდი სიამოვნებით გავცვლიდი ამ ძველ გარ-
დერობს ახალში. აი, ჩაივლის ეს ამბავი და გაზეთში
განცხადებას გამოვაქვეყნებ: „ვცვლი ძველ გარდ-
ერობს ახალ გარდერობში“. ალბათ ვიღაც დამთხვეუ-
ლი კოლექციონერი გამომეხმაურება. შეიძლება არც
გამომეხმაუროს. არ ვიცი.

საერთოდაც არაფერი არ ვიცი. არ ვიცი, დამთავრ-
დება თუ არ დამთავრდება ეს ამბავი, რა უნდათ ჩემგან
მაიორს და კაპიტანს, ორივეს ერთი და იგივე რამ, თუ
ცალ-ცალკე სურვილები აქვთ.

ვფიქრობ: რატომ ვცხოვრობ მერვე სართულზე.
მეორეზე რომ ვცხოვრობდე, გადავხტებოდი და გავიქ-
ცეოდი. იქნებ გაქცევა არ არის საჭირო. თუ გაქცევა
არ არის საჭირო, მაშინ გამოდის, რომ ძალიან კარგია,
რომ მერვე სართულზე ვცხოვრობ, მერვე სართული
ხელს მიშლის არასაჭირო რამის გაკეთებაში. არ ვიცი,
არაფერი არ ვიცი.

– ხომ კარგად ხართ? ხომ მშვიდობაა? – კაპიტნის
ხმაა. წუხს ჩემზე.

ვპასუხობ:

– კარგად ვარ. მშვიდობაა.

– ძალიან კარგი, – ეს უკვე მაიორის შეფასებაა.

საგარეო ტანსაცმლის დიდი არჩევანი არ მაქვს. ორი პიჯაკი – ერთი შავი (საზამთრო) და ერთი ცხორბლისფერი (საგაზაფხულო), ორი პერანგი, ორი წყვილი ფეხსაცმელი. არც ერთი ჰალსტუხი. ჰალსტუხებს ვერ ვიტან. ჰომოსექსუალივით ვმეტყველებ. რა ჯანდაბაა „ჰალსტუხებს ვერ ვიტან“. ეტყობა რალაც-რალაცები მართლა ურთიერთკავშირშია.

ახლა გაზაფხულია. თბილი დღე დგას გარეთ. ამიტომაც თეთრ პიჯაკს ვიცვამ. ვფიქრობ, რომ მშვენივრად გამოვიყურები.

მაიორთან და კაპიტანთან გავდივარ.

– მშვენივრად გამოიყურებით, – მაიორი მეუბნება.

მეც ასე ვფიქრობ-მეთქი, ხომ არ ვეტყვი. უხერხულია.

– გმადლობთ, – ვამბობ მე.

– ნავედით, – კაპიტანი ამბობს.

ნებართვას ვითხოვ:

– თუ შეიძლება, წერილს დავუტოვებ დედას და ჩემს დას.

– ნუ შენუხდებით, – კაპიტანი ჯიბიდან ოთხად გაკეცილ ფურცელს იღებს და მიწვდის, – აი, წერილი.

კაპიტანს ფურცელს ვართმევ.

– შეიძლება გავშალო?

– რა თქმა უნდა.

ვშლი. ფურცელზე მსხვილად ერთადერთი სიტყვა წერია: ნავედი

– სად ნავედი, რატომ ნავედი. დედას შეეშინდება, – მრცხვენია, რომ პატარა ბიჭივით ვლაპარაკობ.

მაიორი ილიმის. უფრო სწორად, მაიორი დამცინის.
ფურცელს ვკეცავ. ვამბობ:

– იყოს, როგორც არის. წავედით.

სახლიდან გავდივართ. კარს ვკეცავ. დაკეტილი კარის ღრიჭოში წერილს ვჩურთავ.

წავედი.

V

ავტომობილის უკანა სავარძელში ვჯდები. კაპიტანმა მიბრძანა ასე მოქცევა. ორივე კარი ავტომატურად იკეტება – ტკაც. ხაფანგში ვარ.

საჭესთან კაპიტანი ზის. მაიორი მის გვერდითაა. რადიოს რთავს და ტალღიდან ტალღაზე გადადის და გადმოდის. ეტყობა, რალაც კონკრეტულს ეძებს.

კაპიტანი გასაღებს საკეტში ატრიალებს და ავტომობილი იქოქება.

– წავედით, – ამბობს კაპიტანი და უკუსვლით გზაზე გავდივართ. გზაზე გასულები წინსვლას ვინწყებთ.

მაიორმა სასურველი ტალღა იპოვა. ქალის ხმა მესმის: თვითმფრინავის გამტაცებლებს ჯერჯერობით საკუთარი მოთხოვნები არ წამოუყენებიათ.

ვფიქრობ: ეს ამბავი არ მეხება. ეს ამბავი არ მაინტერესებს. გაივსო მსოფლიო გამტაცებლებით. ყველგან ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ. ტელევიზორი და რადიო სულ ამაზე ქაქანებს, მაგრამ არსებობს სარეკლამო პაუზები. ამ დროს ცხოვრება მშვენიერია. რეკლამის შემდეგ კვლავ გატაცებები, მკვლევლობები. „მეც ხომ არ გამიტაცეს?“ – ვეკითხები საკუთარ თავს.

იქნებ არც მაიორია მაიორი და არც კაპიტანია კაპიტანი. იქნებ ორივე გადაცმულები არიან. ცხოვრებაში პირველად ძალიან მიხარია, რომ მდიდარი ოჯახის შვილი არ ვარ. ვწყნარდები. მე ვინ გამიტაცებს. ვის რაში ვჭირდები. მაიორი მაიორია. კაპიტანი კაპიტანია.

მუსიკა მესმის. ეტყობა, საინფორმაციო გამოშვება დამთავრდა.

– როგორი მუსიკა მოგწონთ? – მეკითხება მაიორი.

– კარგი, – ვამბობ და ვხვდები, რომ მკვახე პასუხი გამომივიდა და ვაზუსტებ: – წყნარი, ჩქარი, ძველი, ახალი, ინსტრუმენტული, ელექტრონული. სულერთია. მთავარია ვიგრძნო და განვიცადო. ავცეკვდე ან ჩავფიქრდე.

– მე ძველებური სიმღერები მომწონს, – ამბობს მაიორი და თავის საყვარელ მუსიკოსებს თვლის.

არ მაინტერესებს ეს საუბარი. აქეთ-იქით ვიხედები. აქეთაც და იქითაც შენობებია. დაბალი სიჩქარით ვმოძრაობთ. შენობებს მკაფიოდ ვხედავ.

დაახლოებით თხუთმეტი წუთში დანიშნულების ადგილზე ვართ. ორივე კარი ავტომატურად იღება. მხოლოდ და მხოლოდ კაპიტნის ბრძანების შედეგად გადმოვდივარ ავტომობილიდან.

ღრმად ვისუნთქავ ჰაერს...

VI

ნაცნობ ადგილზე ვარ. აქ ადრე ფაბრიკა იყო და მასში მამა მუშაობდა. მე ხშირად მოვდიოდი მამასთან ფაბრიკაში. კარგი დრო იყო. პატარა ვიყავი. მამა ახალგაზრდა იყო. ადმინისტრაციული კორპუსის სახ-

ურავზე მერცხლებს ბუდე ჰქონდათ. მამა მიყვებოდა, როგორ ცხოვრობდნენ მერცხლები, როგორ მიფრინავდნენ თბილ ქვეყნებში, როგორ მოფრინავდნენ უკან. მომწონდა მერცხლების ცხოვრება. უფრო სწორად, მამას მონაყოლი მერცხლების ცხოვრება მომწონდა. მერცხალი მინდოდა ვყოფილიყავი.

შემდეგ, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს მერცხლები გაქრნენ.

– მა, სად გაქრნენ მერცხლები?

– მერცხლებიც კვდებიან, – თქვა მამამ.

პატარა ვიყავი. მჯეროდა სიკვდილის არსებობა, მაგრამ სულ არ მეშინოდა სიკვდილის....

შემდეგ ფაბრიკა დაანგრეეს და ეს მაღალი შენობა ააშენეს, რომლის შესასვლელთანაც ახლა ვდგავარ და მაიორს და კაპიტანს ვუცქერი. ორივენი სიგარეტს ეწევიან. ვფიქრობ: ალბათ შენობაში მონევა აკრძალულია.

სიგარეტს არ მთავაზობენ. ეტყობა იციან, რომ არ ვეწევი. თუმცა ამათ ყველაზე ყველაფერი იციან. მელიმება. ეს სიმწრის ღიმილია.

მაიორი სიგარეტის ნამწვს ურნაში აგდებს. კაპიტანი იმავეს აკეთებს.

– შევედით, – ამბობს მაიორი.

ჩვენ შენობაში შევდივართ. ავდივართ კიბეზე. სართულებს ვითვლი: პირველი. მეორე. მესამე. მეოთხე. მეხუთე. მეექვსე. მეშვიდე.

მეშვიდე სართულზე ვჩერდებით. უზარმაზარ დერეფანს ვხედავ. დღემდე მეგონა, რომ ასეთი დერეფნები მხოლოდ ფსიქოანალიტიკოსების მიერ გამოგონილ სიზმრებში არსებობდა.

არასწორად მეგონა.

საკუთარი, მაიორის და კაპიტნის ფეხის ხმა მესმის. მეშვიდე სართულის უზარმაზარ დერეფანში მივდივართ.

ვფიქრობ: ნეტავ რაზე ფიქრობს მაიორი? ნეტავ რაზე ფიქრობს კაპიტანი? ნეტავ რას მიპირებენ?

დერეფანი მაშინებს და მაპატარავებს. მინდა გამოველაპარაკო მაიორს და კაპიტანს. ორივეს ერთად ან ცალ-ცალკე. სულერთია, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. დერეფანი მაშინებს და მაპატარავებს.

მაიორი და კაპიტანი ნელა მოძრაობენ. მეც ნელა ვმოძრაობ. იძულებული ვარ – მაიორს და კაპიტანს ვერ გავასწრებ. სად გავასწრო? ნეტავ რას მიპირებენ?

თავბრუ მეხვევა. ვბარბაცებ. მარცხნიდან კაპიტანი, მარჯვნიდან მაიორი მიდგებიან მხარში. რალა წამაქცევს? ვერაფერი.

კაპიტანს მაიორზე დიდი მხრები აქვს....

მაიორი და კაპიტანი ჩუმად არიან. მათი სიჩუმე მაშინებს. დერეფანსაც ბოლო არ უჩანს, რაც იმას არ ნიშნავს, რომ დერეფანს ბოლო არ აქვს. ნეტავ მალე გაირკვეს ყველაფერი.

ერთი, ორი, სამი, ოთხი ნაბიჯი და მაიორის და კაპიტნის მხარში დგომა აღარ მჭირდება. უკვე აზრზე ვარ. თავბრუ აღარ მეხვევა და აღარ ვბარბაცებ.

მაიორი და კაპიტანი ჩერდებიან. მეც ვჩერდები. იძულებული ვარ.

ჩვენ უზარმაზარ კართან ვდგავართ.

მაიორი მორიდებულად აკაკუნებს.

– მობრძანდით, – კაცის ხმაა.

მაიორი კარს აღებს.
რიგრიგობით შევდივართ.

VIII

ოთახი დიდია და ნათელი. ოთხი დიდი ფანჯარა აქვს. ერთ-ერთთან მელოტი კაცი დგას. ის ფანჯარაში იცქირება.

მაიორი ამბობს:

– ბატონო გენერალო, თქვენი ბრძანება შესრულებულია.

გენერალი ტრიალდება. დაღარული სახე აქვს.

– გამარჯობა, – მესალმება, ხელს მიწვდის და თვალებში მიყურებს.

– გამარჯობა, – ხელს ვართმევ. მის მზერას ვერ ვუძლებ და მზერა კედლებზე გადამაქვს. ერთ-ერთ კედელზე პრეზიდენტის ფოტო კიდია. პრეზიდენტი ილიმის.

– დაგვტოვეთ, – გენერალი მაიორს და კაპიტანს მიმართავს.

მაიორი და კაპიტანი ოთახიდან გადიან. ნახვამდის, მაიორო. ნახვამდის, კაპიტანო.

ოთახში ვრჩებით: გენერალი, მე, პრეზიდენტის ფოტო და სხვა უსულო საგნები.

– დაბრძანდით, – გენერალი სავარძელზე მითითებს.

– გმადლობთ, – ვჯდები. სავარძელი რბილია. ვთამამდები. ფეხს ფეხზე ვიდებ. ჩემ წინ ყურნალების მაგიდა დგას. ფეხსაცმლის წვერით ოდნავ ვეხები მაგიდის კიდეს და ვიცი, რას მეტყვის გენერალი. ის ჯერ-ჯერობით ჩუმადაა.

გენერალი თავისი სამუშაო მაგიდის ერთ-ერთ უჯრას აღებს, რაღაცას იღებს. უჯრას ხურავს და ჩემთან მოდის.

გენერალი მაგიდაზე ფოტოს დებს და მეკითხება:

– იცნობთ ამ პიროვნებას?

მაგიდისკენ ვინევი. ფოტოს ვიღებ და ვუყურებ. ეს მამაა, ოღონდ ფოტოზე მამა თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისაა.

– იცნობთ ამ პიროვნებას? – გენერალი შეკითხვას მიმეორებს.

– ვიცნობ, – ვამბობ მე, – მამაჩემია.

IX

გენერალი გვერდით მიჯდება, ფოტოს მართმევს და მეუბნება:

– და იცი ეხლა სად არის მამა? ოღონდ არ მითხრა, რომ მოკვდა. მე და შენ ხომ ვიცით და გვჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს.

– თქვენ საიდან იცით?

– რა, სიკვდილი რომ არ არსებობს? თუ, შენ რომ იცი და გჯერა ეს?

პირი მაქვს გამშრალი. ენას ტუჩებზე ვისვამ და ვამბობ:

– ორივე.

– სიკვდილი რომ არ ასებობს, გავიგე ძალიან, ძალიან ადრე. ხოლო დავიჯერე ას ორმოცდაათი წლის წინ, – „ბოდავს“, – ვფიქრობ. გენერალი აგრძელებს: – რაც შეგეხება შენ, გაქვს აქა-იქ მთვრალს დაყრან-

ტალეზული და ფხიზელს ნათქვამი, რომ სიკვდილი არ არსებობს.

„ბოდავს!“ – ვიმეორებ გულში. ისე, პირველად ვხედავ ასეთ ადამიანს, რომელიც თავს უფლებას აძლევს და ამბობს, რომ ას ორმოცდაათი წლის წინ რალაც დაიჯერა.

– ბატონო გენერალო, ერთი რამ შეიძლება გითხრათ?

– ბრძანე. გისმენ.

ვდგები. ვფიქრობ, რომ ასე ჯობია. ის, რის თქმასაც ვაპირებ, არ არის ინტიმური რამ, უფრო ოფიციალური განცხადებაა.

– ბატონო გენერალო, როდესაც ვამბობ ან ვაყრანტალეზ, რომ სიკვდილი არ არსებობს, ვგულისხმობ სულის უკვდავებას. რაც შეეხება სხეულს, ის მოკვდავია, – მძაფრ სიტყვას ვეძებ, – და ხრწნადი.

– ასე შეგაშინა ჩემმა ნათქვამმა, რომ ასორმოცდაათი წლის წინ....

– მე არაფრის არ მეშინია, – წინადადებას ვანყვეტილებ გენერალს და ვტყუი.

– შენ გჯერა, რომ ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ, ათას ხუთასი წლის წინ დაარსებულია. შენ ასევე გჯერა, რომ სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ხარ, ათასწლეულების წინ შექმნილი სახელმწიფოა. შენ არ გჯერა, რომ მე ასორმოცდაათი წლის წინ დავიჯერე, რომ სიკვდილი არ არსებობს. რატომ გჯერა პირველი ორი რამ და რატომ არ გჯერა ჩემი ნათქვამი? მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, შვილო, – უკანასკნელ სიტყვას არ ველოდი. გენერალი მთხოვს: – ჩემ გვერდით დაჯექი.

არ მინდა, გენერალმა იფიქროს, რომ მისი მეშინია ან ვერიდები, ამიტომაც მის გვერდით ვჯდები.

თავდახრილი ვარ და ფეხსაცმელებს ვუცქერ. გენერლის ხმა მესმის:

– იფიქრე, შვილო, რატომ გჯერა რალაცეები გადაუმონმებლად და რატომ არ გჯერა ჩემი ნათქვამი.

ვფიქრობ: რატომ მჯერა, რომ ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობ ათას ხუთასი წლის წინაა დაარსებული? რატომ მჯერა, რომ სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც ვარ, ათასწლეულების წინაა შექმნილი? ორივე შეკითხვას საერთო, მარტივი პასუხი აქვს: ბავშვობაში მასწავლეს ასე. რატომ არ მჯერა გენერლის ნათქვამი, რომ ას ორმოცდაათი წლის წინ მან სიკვდილის არარსებობა დაიჯერა? ამ შეკითხვასაც მარტივი პასუხი აქვს: ჩემთვის ბავშვობაში არ უსწავლებიათ, რომ ადამიანები ასწლეულებს ცხოვრობენ. ყვავებზე მასწავლეს, ადამიანებზე – არა. დავუშვათ, ესწავლებინათ ჩემთვის ბავშვობაში, რომ ადამიანები ყვავებზე ნაკლებები არ არიან და ასწლეულებს ცხოვრობენ. დავიჯერებდი თუ არ დავიჯერებდი? ალბათ დავიჯერებდი და ახლა გენერლის ნათქვამში არაფერი არაბუნებრივი არ იქნებოდა...

თავს ვწევ. გენერალს ვუცქერი. გენერალიც მიყურებს. ჩუმად ვართ. ვფიქრობ: შეიძლება გენერალი არ ბოდავს, შეიძლება მართლაც ასორმოცდაათი წლის წინ დაიჯერა, რომ სიკვდილი არ არსებობს. ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბავშვობაში არ მასწავლეს, არ მომანოდეს ინფორმაცია. გაკვრითაც კი არ მითხრეს, რომ ადამიანები... მგონი ახლა მე ვბოდავ.

დუმილს ვარღვევ. გენერალს ვეკითხები:

– ბატონო გენერალო, რამდენი წლის ბრძანდებით?

– აღარ მახსოვს, – გენერალი მიღიმის. შემდეგ დგება და ფანჯარასთან მიდის.

ვფიქრობ: ძალიან კარგადაც ახსოვს. განზრახ არ მეუბნება. ინტრიგას ინარჩუნებს.

X

გენერალი ფანჯარასთან დგას. გარეთ იცქირება. ჩუმადაა. მე ვზივარ. მეც ჩუმად ვარ და ვფიქრობ, რომ დრო გადის.

მოულოდნელად გენერალი მეუბნება:

– მოდი აქ.

ვდგები და მივდივარ. ფანჯარასთან ვდგავარ. ქალაქის ერთ-ერთ უშნო ნაწილს ვხედავ: მშენებარე კორპუსები, ქვიშის გორები. მახსოვს, ბავშვობაში ქვიშაში ბიჭებს გვირაბები გაგვყავდა. გოგოები პასკებს აკეთებდნენ. ბიჭები და გოგოები სხვადასხვა რამისთვის ვიყენებდით ქვიშას. მიზანი ერთი გვექონდა – გართობა. ბიჭები ვთვლიდით, რომ გოგოები შტერები იყვნენ. გოგოები თვლიდნენ, რომ ბიჭები ვიყავით შტერები. გოგოები, ბიჭები – ვხვდები, რომ ადამიანურ რამეებზე ვფიქრობ. ვგრძნობ, აღარ მეშინია. ეს გენერლის დამსახურებაა. გენერალი კარგად მექცევა. თუმცა ჯერჯერობით არ ვიცი, რატომ ვარ აქ.

მშენებარე კორპუსებში მუშები მოძრაობენ. ლურჯი სპეცტანსაცმელი აცვიათ და ყვითელი ქუდები ახურავთ.

ვფიქრობ: ალბათ გენერალიც მშენებარე კორპუსებში მოძრავ მუშებს უცქერს. ცალი თვალით გენერალს ვუყურებ. გენერალი მშენებარე კორპუსებისკენ იცქირება. შეიძლება მე მეჩვენება ასე.

ორივე თვალით მშენებარე კორპუსებს ვუცქერ. მშენებარე კორპუსები ტყუპებივით გვანან ერთმანეთს და მიტყუპებულები არიან.

გენერალის ხმა მესმის. ის ამბობს:

– ვერ გადავეჩვიე აზროვნებას და მეტყველებას ისეთი ცნებებით, როგორებიცაა: ხალხი, კაცობრიობა, ინტელიგენცია, პროლეტარიატი. თქვენც ამ ცნებებით აზროვნებთ და მეტყველებთ?

– სამწუხაროდ, კი.

– ცუდია. ძალიან ცუდია. აი, მშენებარე კორპუსებში მოძრავ მუშებს ვუცქერდი და ვფიქრობდი: სანყალი პროლეტარიატი. არადა, ცალ-ცალკე ადამიანები არიან. ერთი მხიარულია, მეორე უჟმურია, მესამის ხასიათი ამინდზეა დამოკიდებული და ა. შ. ერთი ბედნიერია, მეორე უბედური, მესამეს ბედნიერება-უბედურება ამინდზეა დამოკიდებული. ფეხბურთის სხვადასხვა გუნდის გულშემმატიკივრები არიან, – გენერალი ჩუმდება ერთხანს, შემდეგ ამბობს: – საქმეზე გადავიდეთ, შვილო.

ვფიქრობ: როგორც იქნა. ვნატრობ: ნეტავ ცუდი არაფერი იყოს. ვიცი: ყველაფერს მალე გავიგებ.

ვღელავ.

გენერალი მშენებარე კორპუსებისკენ იშვერს ხელს და მე ვფიქრობ, რომ ჩემი აქ ყოფნა კორპუსებს უკავშირდება. გენერალი ამბობს:

– მშენებარე კორპუსების იქით გორას ხედავ?

არასწორად ვფიქრობდი: ჩემი აქ ყოფნის მიზეზი მშენებარე კორპუსებს იქითაა.

– ვხედავ, – ვამბობ და მშენებარე კორპუსების იქით გორას ვხედავ.

– გორამდე ერთადერთი გზა მიდის, – გენერალი მიხსნის. ჯერჯერობით არ ვიცი, რატომ მიხსნის. გენერალი აგრძელებს, – გორაზე მამაა, ხედავ?

– ვერ ვხედავ, – ვამბობ და გორაზე მამას ვერ ვხედავ.

– გორაზე მამაა, – იმეორებს გენერალი. შემდეგ არჩევანის უფლებას მაძლევს. შენ შეგიძლია შეხვდე, შეგიძლია არ შეხვდე მამას.

მე მინდა ვთქვა, რომ სისულელეა ეს ყველაფერი და რომ სახლში მივდივარ, მაგრამ არ ვამბობ. რალაც მაკავებს. საინტერესოა, რა? შიშით არ მეშინია. საინტერესოა, რა? გენერალის ნათქვამის ხომ არ მჯერა?

– ბატონო გენერალო, თქვენ ხედავთ მამას?

– ვხედავ, – გენერალი გორას უცქერის და მამას ხედავს (თუ დავუჯერებ).

– და როგორია მამა?

– ფოტო ხომ განახე.

– ფოტოზე მამა შვილად მეკუთვნის. რა, მამა მამა აღარაა? რა, მამა შვილად იქცა?

– მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება. მომყევი.

გენერალი კარისკენ მიდის. გენერალი კარს ალებს. დერეფანში გავდივართ.

– თუ გსურს, რომ მამას შეხვდე, წინ იარე. თუ არა, უკან წადი. წინა გზა შენთვის ახალი გზაა, ამიტომაც საშიშია და იდუმალი. უკანა გზა შენთვის ნაცნობია, არა საშიში და არა იდუმალი. საიდანაც მოხვედი, იქ მიგიყვანს.

– სახლში, – ვამბობ მე და ვიძაბები.

– და რა არის სახლი მამას გარეშე? არაფერი.

ვფიქრობ: გენერალი მართალია. სახლი მამას გარეშე ცარიელია.

– რატომ უნდა მჯეროდეს თქვენი, რომ ახალი გზის არჩევის შემთხვევაში მამას ვნახავ?

– იმიტომ, – მოკლედ მპასუხობს გენერალი. ოთახში შედის. კარს ხურავს. კარი ქრება. მე არ ვიცი, ეს უახლესი ტექნიკური ფოკუსია თუ სასწაული. ხომ არ მელანდება ეს ყველაფერი? ხორცს ვიგრიხავ მარცხენა ხელისგულზე. მტკივა. მახსენდება, რომ სიზმარშიც მტკივა ხოლმე ხორცი უხეში შეხების შემდეგ. ხორცის ნდობა არ შეიძლება. ხორცი ცხადს და სიზმარს ვერ არჩევს. ხორცისთვის სულერთია ცხადი და სიზმარი. მას ცხადშიც ტკივა და სიზმარშიც. ხორცს ხცადშიც სიამოვნებს და სიზმარშიც. რატომ?

„იმიტომ“, – ვიმეორებ გენერლის ბოლო პასუხს.

ასე მამას ვპასუხობდი ბავშვობაში, როდესაც ვგრძნობდი, რომ დასმულ შეკითხვაზე პასუხი მქონდა, მაგრამ ამ პასუხს ვერ ვაყალიბებდი. შეიძლება გენერალიც ასეა....

რატომ? – იმიტომ.

დერეფანში ვარ. მარტო ვარ. ვარ. თავიდან უკანა გზას ვადგები. ეს გზა ჩემთვის ნაცნობია, არა საშიში და არა იდუმალი, მივყავარ იქ, საიდანაც მოვედი – სახლში.

ამ გზაზე მარტო პირველად ვარ. რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ სახლისკენ. გენერლის ხმა ჩამესმის. რა არის სახლი მამის გარეშე? არაფერი.

აქეთ-იქით ვიხედები. მარტო ვარ. დერეფანში ვარ. ვარ. ხმა მესმის, მაგრამ ხმის პატრონს ვერ ვხედავ. მარტო ვარ. ვარ და მიხარია, რომ ვარ. ეს ფილოსოფიური სიხარულია. მარტო რომ ვარ, ეს არ მიხარია. გულის ამბავია.

ვფიქრობ: გენერალი მართალია. სახლი მამას გარეშე არაფერია. მახსენდება ორმოცი ცარიელი დღე, დაძინებები და გაღვიძებები, უაზრო წრიალი. მე ვიცი: გაივლის დრო და ამ სიცარიელეს შევეჩვევი. დაძინებას და გაღვიძებას ხომ კარგა ხანია, შეჩვეული ვარ. ისიც ვიცი, რომ დიდი დაძინება მომელის დიდი გაღვიძების წინ ადრე თუ გვიან. ყოველწამს, ყოველწუთს, ყოველდღე, ყოველდროს. მანამდე დაძინებასა და გაღვიძებას შორის უაზროდ ვწრიალებ სიზმრებში. მანამდე გაღვიძებასა და დაძინებას შორის უაზროდ ვწრიალებ ცხადში, მაგრამ გაივლის დრო და შევეჩვევი ამ სიცარიელეს და მშვიდად ვიცხოვრებ სიცარიელეში. მაგრამ არსებობს სხვა გზაც. გენერლის ხმა ჩამესმის: „მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება“. კვლავ აქეთ-იქით ვიხედები. კვლავ მარტო ვარ. კვლავ მიხარია, რომ ვარ და ეს კვლავ ფილოსოფიური სიხარულია. მარტო რომ

ვარ, კვლავ არ მიხარია და ეს კვლავ გულის ამბავია.

ვფიქრობ: მამა შვილად იქცა, თან მამად რჩება. რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ უკან. სანყის წერტილზე ვბრუნდები. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ წინ – მამასკენ.

ეს ჩემთვის ახალი, იდუმალი გზაა და მეშინია. მეშინია და ეჭვები მესევიან.

ვფიქრობ: რამდენ ხანს მომიწევს ამ გზაზე სიარული? რამდენ ხანში ვნახავ მამას? გენერალს ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს. მე მჭირდება გარანტიები. მე მინდა, ყველაფერი წინასწარ ვიცოდე. მეშინია. მეშინია და ეჭვები მესევიან.

რამდენიმე ნაბიჯს ვდგამ უკან. სანყის წერტილს ვუბრუნდები.

ვფიქრობ: დედა და ჩემი და ალბათ უკვე დაბრუნდნენ სახლში და იციან, რომ წავედი.

როგორც ყოველთვის, ცრემლებს ვცლაპავ და ვფიქრობ, რომ ნერწყვს ვცლაპავ.

2006 წ.

80 წელი დედამისაზე

ალექსანდრეს თვალები დახუჭული აქვს, ალექსანდრემ იცის, რომ ფანჯრის წინ დგას თვალებდახუჭული, ალექსანდრე ფიქრობს: „დღეს ოთხმოცი წლის გავხდით, საღი გონება მაქვს და ვხვდები, რომ სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე სიცოცხლესთან“. ალექსანდრე ნერწყვს ყლაპავს და საკუთარ თავს ეკითხება: „რა იქნება ჩემი სიკვდილის შემდეგ? არა იქ, არამედ აქ?“ ალექსანდრე თვალებს კიდევ უფრო მაგრად ხუჭავს და ცდილობს წარმოიდგინოს (დაინახოს), როგორი იქნება აქაურობა თუნდაც ოცი წლის შემდეგ, მაგრამ არ გამოსდის არც წარმოდგენა, არც დანახვა... ალექსანდრე თვალებს ახელს და მინაზე საკუთარ ანარეკლს ხედავს, პატარა, რვა წლის ბავშვია და მხრებზე ფრთიანი ძაღლები ასხედან....

„ჰოლივუდი გამოგონილი სამყაროა... სიზმარში შეშინებული ადამიანები ჰოლივუდურ ფილმებში ძალიან სწრაფად იღვიძებენ, რეალურად, ასე გაღვიძება შეუძლებელია“, – ფიქრობს გაღვიძებული ალექსანდრე... საბანი თავზე აქვს წაფარებული და იმავე კითხვას უსვამს საკუთარ თავს, რომელსაც სიზ-

მარში უსვამდა: „რა იქნება ჩემი სიკვდილის შემდეგ? არა იქ, არამედ აქ?“ ამ კითხვაზე პასუხი ალექსანდრეს არც ცხადში აქვს...

3

ალექსანდრე დგება და აივანზე გადის... ქალაქი განათებულია... ალექსანდრე განათებულ ქალაქს უყურებს... ქალაქი უსულო საგანია, როგორც არ უნდა გაალამაზონ, დახვენონ ადამიანებმა, ქალაქი მაინც უსულო საგანია... „პირველი ქალაქი კაენმა დააარსა“ ,ახსენდება ალექსანდრეს რომელიღაც წიგნში ამოკითხული ფრაზა... ალექსანდრე დღემდე ვერ ხვდება, რატომ მიიღო ღმერთმა მხოლოდ აბელის მსხვერპლი... მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე ბევრი კომენტარი აქვს წაკითხული და თავადაც ბევრი უფიქრია...

4

ალექსანდრე მიწას დაცქერის. მიწაზე მიმოდინან ადამიანები და მანქანები. ახლა ღამეა და ამიტომ ადამიანიც ცოტაა და მანქანაც. ალექსანდრესთვის სულერთია. უკვე რამდენიმე წელია, მხოლოდ საკუთარი თავი ანუხებს, მხოლოდ საკუთარი თავი... ყველაფერი შეუძლია ახლავე დაამთავროს, შედგეს აივანზე და გადახტეს, მაგრამ აივანზე შესახტომი ძალა აღარ აქვს და თვითმკვლელობა არ არის ის გზა, რომლითაც აქედან გაღწევა უნდა ალექსანდრეს.

ალექსანდრე ოთახში ბრუნდება, ტუმბოზე შემოდებული ელექტროსაათს აკვირდება. ლამის სამის ნახევარია... ეს საათი ალექსანდრეს შვილმა გამოუგზავნა შარშან ამერიკიდან. ის უკვე ათი წელია, რაც იქ ცხოვრობს. ალექსანდრეს ეს ამბავი არ აწუხებს, შვილი ცალკე ადამიანია. ეს პირველად მაშინ იგრძნო, როდესაც სამშობიაროში შვილი ხელში აიყვანა, ხოლო შემდეგ, როდესაც შვილი იზრდებოდა, ყოველთვის გრძნობდა, რომ შვილი ცალკე ადამიანი იყო თავისი ცხოვრებით და სიკვდილით. ალექსანდრეს მეორე შვილი ომში მოკვდა... ალექსანდრე მკვდარ შვილზე უფრო ხშირად ფიქრობს, ვიდრე ამერიკაში წასულზე. ამას ალექსანდრე იმით ხსნის, რომ ამერიკაში წასვლას არ აპირებს, სიკვდილი კი თავისთავად მოდის...

ალექსანდრე წვება და თვალებს ხუჭავს. ალექსანდრეს უნდა, რომ ძილში მოკვდეს, შეიძლება ძილში სიკვდილი ყველაზე რთული სიკვდილია, მაგრამ ალექსანდრემ არ იცის, როგორ კვდებიან ძილში, სამაგიეროდ იცის, როგორ კვდებიან საავადმყოფოში, ქუჩაში, ავარიაში... მისი მეგობრები სულ ნაირნაირად დაიხოცნენ, თუმცა ერთნაირად ერთფეროვნად იცხოვრეს... ალექსანდრე იძინებს და ძილში ხედავს: ცოლთან ერთად გემით მოგზაურობს, გემზე სხვა მგზავრები არ არიან, მაგრამ ხმები ისმის. ისმის ფუს-

ფუსი, მაგრამ ირგვლივ არავინ არ არის.... ერთ-ერთი ხმა ამბობს, რომ ბრაზილიის სანაპიროებთან არიან... ალექსანდრე ცოლს უყურებს და ეუბნება:

– არ მიყვარხარ...

– არც მე მიყვარხარ, – პასუხობს ცოლი და ერთმანეთს რატომღაც გაღიმებულები ეხუტებიან... ტაშის ხმა ისმის, თუმცა ირგვლივ არავინ არ არის.

7

ალექსანდრე სანოლში ტრიალდება და გემს და ცოლს ტოვებს... უცხო ქალაქის ქუჩაში ხეტიალობს, ახალგაზრდაა. ახსენდება, რომ გემზე ასაკი არ ქონდა, დახლთან ჩერდება და გამყიდველს უცნობ ენაზე ელაპარაკება. გამყიდველი ერთ თავ ყველს უწვდის, ალექსანდრე ართმევს, მის ხელებში ყველი ქვა ხდება, ალექსანდრეს ქვა ხელებიდან უვარდება და მარჯვენა ფეხზე ეცემა. „ტკივილი არაფერია, მთავარია არ გამეღვიძოს“, – ფიქრობს ალექსანდრე და ეღვიძება...

8

ალექსანდრე შუქს ანთებს, კარადასთან მიდის, ალებს და ჭიქას იღებს. ჭიქის ფსკერს უყურებს, შემდეგ ჭიქას მაგიდაზე დგამს და გაზქურასთან მიდის, ანთებს და თან ეშინია, გაზქურა არ აფეთქდეს. არ უნდა ალექსანდრეს ასეთი სიკვდილი. ცეცხლზე

ჩაიდანს დგამს და მაგიდასთან ბრუნდება. სკამს მაგიდიდან აჩოჩებს და ჯდება, ეს მაგიდა და სკამებიც შვილმა გამოუგზავნა ამერიკიდან... ალექსანდრე ზის და წყლის ადუღებას უცდის... ძველი დრო კარგი იყო... მაშინ სხვა ყველაფერთან ერთად კედლის რადიო არსებობდა, ახლა აღარ არსებობს, ძველი დრო კარგი იყო... კონკრეტული ადამიანისთვის შეუძლებელია ტექნიკური განვითარებისთვის ფეხის აწყობა, ამიტომ ადრე თუ გვიან ყველა ტექნიკური განვითარების მოწინააღმდეგე ხდება... ალექსანდრე აქეთ-იქით იხედება... მის ირგვლივ მხოლოდ საგნები და ნივთებია, რომ შეეძლოს, რომ არ ეშინოდეს, ყველაფერს გადაყრიდა... ალექსანდრე ფიქრობს: „დღეს ოთხმოცი წლის გავხდი, სალი გონება მაქვს და ვიცი, რომ სიკვდილთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე სიცოცხლესთან, მაგრამ ნივთების გადაყრის მაინც მეშინია... რისი იმედი მაქვს? რა უნდა მოხდეს? რაში უნდა დამჭირდეს ეს ნივთები?“ ალექსანდრე დგება, გაზქურასთან მიდის, აქრობს, შემდეგ ახსენდება, რომ ჩაი არ დაუყენებია და ხვდება, რომ დაყენების თავი არ აქვს... ალექსანდრე სამზარეულოდან გადის...

9

ალექსანდრეს შვილი ყოველი თვის ბოლოს ამერიკიდან ფულს უგზავნის, თანხა ყოველთვის ერთი და იგივეა, სამასი დოლარი... ალექსანდრე თვეში ორას დოლარს ხარჯავს, ასი რჩება... ალექსანდრე დარჩენილ ფულს მაქსიმ გორკის მეთვრამეტე ტომში

ინახავს. უკვე ათი თვეა, ასეა... ადრე შვილი ცოტა ფულს უგზავნიდა და შესანახი არაფერი რჩებოდა... ალექსანდრე წიგნების კარადიდან მაქსიმ გორკის მეთვრამეტე ტომს იღებს, წიგნს შლის. სხვადასხვა გვერდზე ათი ასდოლარიანი დევს. ალექსანდრე ფულს იღებს და წიგნს ადგილზე აბრუნებს. ფულს ითვლის და თან მაქსიმ გორკიზე ფიქრობს, სკოლაში ნასწავლი ტექსტები ახსენდება, შემდეგ ფულს ტუმბოზე დებს და გარდერობთან მიდის...

10

ალექსანდრე სარკესთან დგას... ახალთახალი კოსტიუმი აცვია... თვალებს ხუჭავს და ახელს... არაფერი არ იცვლება... ალექსანდრეს ბავშვობის ერთ-ერთი მეგობარი ამბობდა, რომ სარკეები იტყუებიან... ხშირად ამბობდა ასე, მაგრამ ალექსანდრეს არც ერთხელ არ უკითხავს მისთვის, როდის და რაში იტყუებოდნენ სარკეები... „არაფერს აზრი არ აქვს, – ფიქრობს ალექსანდრე, – არც კითხვას, არც გაჩუმებას... უკვე ოთხმოცი წელია დედამიწაზე ვარ და არაფერს აზრი არ აქვს“...

11

ალექსანდრე ქუჩაში გამოდის. ტაქსის აჩერებს... ჯდება და მძღოლს ეუბნება:
– იქ წამიყვანე, სადაც ქალები ცეკვავენ და თან

იხდიან (სტრიპტიზი ალექსანდრემ ერთხელ ტელევიზორში ნახა და მოენონა). დღეს ჩემი დაბადების დღეა, ოთხმოცის გავხდი...

– გილოცავ, ძიაკაცო, – ეუბნება ტაქსის მძღოლი და მანქანას ძრავს...

ტაქსის მძღოლი ხან გზას უყურებს, ხან ალექსანდრეს და ელიმება... ალექსანდრე ხედავს მძღოლის ღიმილს, მაგრამ არაფერს არ ეუბნება... დროდადრო თითებს ატკაცუნებს.

12

სტრიპტიზკლუბის შესასვლელთან დაცვა დგას, ორნი არიან... ალექსანდრე მათ ესალმება და და კლუბში შედის... დაცვის ბიჭებს ელიმებათ... ალექსანდრე ცარიელ მაგიდასთან ჯდება... მაგიდასთან ოფიციანტი მოდის...

– რას ინებებთ? – ეკითხება ალექსანდრეს და უღიმის. ალექსანდრემ იცის, რომ ოფიციანტები ყველას უღიმიან, მაგრამ მაინც სიამოვნებს გოგონას ღიმილი.

– გათხოვილი ხარ? – ეკითხება ალექსანდრე ოფიციანტ გოგონას.

– კი, ვარ. გიკვირთ ხომ, ქმარი როგორ მამუშავეებს ასეთ ადგილას?!

– არა, მე ვიფიქრე, თუ მარტო ხართ, სახლამდე გაგაცილებდით...

– ძალიან რომანტიკულია, მაგრამ არ არის საჭირო...

– ძალიან საქმიანი თაობა ხართ და ეგ ცუდია, იმიტომ, რომ ყველა საქმე უაზროა...

– რას ინებებთ? – შეკითხვას იმეორებს ოფიციალტი გოგონა და სახეზე ეტყობა, რომ უკმაყოფილოა.

– მე დღეს დაბდების დღე მაქვს და შამპანური მინდა.

– გილოცავთ, კიდევ გინდათ რამე?

– ხილი, – ამბობს ალექსანდრე და რატომღაც თავისი ცოლი ახსენდება, კუბოში რომ იწვა მკვდარი... ჯერ ყვავილები რომ ეყარა გულზე, შემდეგ ხუფი რომ დაახურეს და შემდეგ მინა მიაყარეს, – ხილი, – იმეორებს ალექსანდრე...

13

კლუბში ძირითადად ახალგაზრდები სხედან... პატარა ბიჭები. ალექსანდრე ხან შამპანურის ბოთლს, ჭიქას და ხილს უყურებს, ხან – ცარიელ სცენას... ათასი უნიჭო ნატურმორტი ახსენდება და ხვდება, რომ არც ერთი კარგი სურათის ორიგინალი ნანახი არ აქვს... „რომ მქონდეს, რა შეიცვლებოდა? არაფერი, – ფიქრობს ალექსანდრე, შემდეგ გულში რამდენიმეჯერ იმეორებს, – არაფერი, არაფერი, არაფერი...“

14

ახალგაზრდები ტაშს უკრავენ, მუსიკა ირთვება, სცენა რამდენიმე წამით ბნელდება, შემდეგ სხვადასხვა ფერის შუქებით ნათდება და გოგონა გამოდის. სცენის შუაში რკინის ბოძია. ტელევიზორში სტრიპ-

ტიზის ყურებისას ალექსანდრეს განსაკუთრებით ის მომენტი მოეწონა, როდესაც მოცეკვავე რკინის მილს შემოეხვია, შემდეგ ცალი ხელი ბოძს მოკიდა და დატრიალდა. ახლაც ელის, როდის შემოეხვევა მოცეკვავე რკინის მილს, მაგრამ გოგონა არ ჩქარობს, სცენაზე დადის და პუბლიკას უღიმის, შემდეგ ერთ-ერთი მაყურებლისკენ იშვერს მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს, შემდეგ მოსაცმელს იხდის და მისკენ ისვრის...

ალექსანდრე შამპანურს ისხამს. „კიდევ კარგი, ბოთლი გახსნილი მოიტანეს, თორემ მე ამის გახსნის ძალა სადღა მაქვს, გამიმარჯოს!“ – ალექსანდრეს ჭიქა პირთან მიაქვს და შამპანურს წრუპავს...

15

მოცეკვავე ლიფს იხსნის და ალექსანდრეს უყურებს. ალექსანდრე უნებურად თვალეხს ხუჭავს. „გადაირია ქვეყანა“, – ფიქრობს ალექსანდრე და ძილში მიდის, ძილს მიაქვს... სიბნელეში მოსაყვედურე ხმა ესმის:

– გთხოვეთ, არ დაგეძინათ, თქვენ კი...

ალექსანდრე გრძნობს რომ ეს სიტყვები წაკითხული აქვს; არა, ეს სიტყვები არა, ეს შინაარსი, მაგრამ ვერ იხსენებს, სად...

მხარზე ხელის შეხებას გრძნობს და თვალეხს ახელს, შიშველ მოცეკვავეს ხედავს, ხან მის მკერდს უყურებს, ხან იატაკს. მოცეკვავე მსუბუქად ექაჩება, ალექსანდრე დგება, მოცეკვავეს ალექსანდრე სცენაზე აყავს, ისმის აპლოდისმენტები და გამამხნეველები

შეძახილები... ალექსანდრე რკინის მილს კიდებს მარ-
ჯვენა ხელს და თვალებს ხუჭავს.

– მოკვდა, – ყვირის მოცეკვავე გოგონა და ხელებით
მკერდს იფარავს...

2010 წ.

VITA NOVA – დღე პირველი

განსაკუთრებული ტელეფონი ნკრიალებს. ამ ტელეფონით ყოველთვის ლიდერი რეკავს. ზარის გაგონებაზე უცებ მელვიძება, ვფიქრობ, რომ რალაც ცუდი ამბავია, სწრაფად ვდგები, განსაკუთრებული ტელეფონის ყურმილს მარცხენა ხელით ვიღებ, მარჯვენა ხელით უნებურად ტრაკს ვიქექავ. მახსენდება, რომ ლიდერის პირადი ინფორმატორი ვიდეოკამერები მითვალთვალევენ და შეგნებულად მრცხვენია ჩემი უნებური საქციელის, მარჯვენა ხელს უსწრაფესად ვწევ განზე, ყურმილი ყურთან მიმაქვს და ძალიან თავმდაბლად ვამბობ: „გისმენთ“.

„ტრაკიქექია, როგორ ხარ?“ – მეკითხება ლიდერი, იციანის, მეც ვიციანი, ორივე ვიციანით. ეს ჩემთვის დიდი პატივია – ვიციანი ლიდერთან ერთად.

ვხვდები, რომ ლიდერს გარანტირებულად კარგი, შეიძლება ამაღლებული განწყობაც კი აქვს, ასე რომ, ცუდი არაფერი მომხდარა. შვებით ამოსუნთქვის შემდეგ მეც კარგ ხასიათზე ვდგები... ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ჩვენ, ლიდერის ერთგულ ხელქვეითებს ინდივიდუალური არაფერი გაგვაჩნია; ამბობენ, რომ ლიდერის აჩრდილები ვართ. დადგება დრო და მსოფლიო დემოკრატიის მეთვალყურე ვიდეოკამერები შეწყვეტენ ჩვენს ქვეყანაში მუშაობას და ყველას გავაჩუმებთ... ბებერი ძაღლებივით

მივაძინებთ ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრებს, მაგრამ ჯერჯერობით უნდა მოვითმინოთ – ეს ლიდერის სიტყვებია და მე მის მოსაზრებას აბსოლუტურად ვიზიარებ...

„ერთი კარგი და ერთიც ძალიან კარგი ამბავი მაქვს, რომლით დავინყო?“ – მეკითხება ლიდერი.

ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ლიდერი ადამიანებს არჩევანის უფლებას ართმევს, ცილისმწამებლები... დადგება დრო და ყველას ბებერი ძაღლებივით... ყველას... ცილისმწამებლები... ერთი კარგი და ერთიც ძალიან კარგი ამბავი... აირჩიე, რომლით გინდა, რომ დაინყოს, აირჩიე, ჯერ რომელი გინდა, რომ თქვას, აირჩიე, ჯერ როგორი სიხარული გინდა განიცადო – ჩვეულებრივი თუ დიდი... და ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყანაში არჩევანის უფლება არ არსებობს?! პროვოკატორები, უმადურები!

„კარგი ამბით დავინყო“, – ვაკეთებ არჩევანს.

„კარგი, დავინყოთ კარგი ამბით, – ამბობს ლიდერი, – დაჯექი და ყურადღებით მომისმინე“. სკამი ხელის განვდენაზეა, ვნევ ხელს სკამისაკენ, ჩემკენ ვაჩოჩებ და ვჯდები. „უკვე წლებია, რაც ჩემი იდეალი ჩვენი ქვეყნის ლეგენდარული მეფეა...“ თვალწინ ლეგენდარული მეფის სახე მიდგება, უფრო სწორად, მისი ყველაზე ცნობილი პორტრეტი... ბედნიერი ვარ, რომ მისი მმართველობის დროს არ მომინია ცხოვრება. ასე რომ მომხდარიყო, ახლა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი, მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზეზი: ბედნიერი ვარ, რომ ლიდერის თანამედროვე და თანამოაზრე ვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს სხვა სივრცეში და დროში არსებობის. ქვეყნის ბრწყინ-

ვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ჩვენ ლიდერის თანამოაზრეები კი არა, კერპთაყვანისმცემლები ვართ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, ჩვენ უბრალოდ შურზე და ბოლმაზე მაღლა ვდგავართ და შეგვიძლია იმის აღიარება, რომ ლიდერი ჩვენზე დიდი პიროვნებაა...

„დიახ, რა თქმა უნდა ვიცი, რომ თქვენი იდეალური ჩვენი ლეგენდარული მეფეა“, – ვამბობ ყოველი შემთხვევისთვის.

„იყო, აღარ არის. ხვდები ალბათ, ამ გადანყვეტილების მიღება ჩემთვის არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მე მივიღე გადანყვეტილება და დღეიდან მივბაძავ... ვის, ამას ჩემთან რომ მოხვალ, მაშინ გეტყვი“

„როდის მოვიდე?“ – ვეკითხები ლიდერს. ხმაზე მეტყობა, რომ ახლავე მზად ვარ, მისი რეზიდენციისკენ დავიძრა, ლიდერი ხვდება ამას.

„ახლა სამის ნახევარია, ოთხის ნახევარზე მოდი ჩემთან“, – მიბარებს ლიდერი.

ლიდერი ქვეყანაზე ზრუნავს. ეს კარგი ამბავია, თუმცა საამისოდ საკუთარი თავისთვის რთული გადანყვეტილების მიღება უწევს. აღფრთოვანებული ვარ.

სააბაზანოში შევდივარ, შხაპს ვიღებ, ვიცვამ და ლიდერის რეზიდენციაში მივდივარ.

ძალიან კარგი ამბის მოსმენის მოლოდინში ვარ.

ლიდერის სამუშაო ოთახში ვდგავარ, ლიდერი არ ჩანს, მხოლოდ მისი ხმა მესმის.

„დაჯექი“, – მეუბნება. ვჯდები. „შემოსასვლელი კარისკენ იყურე“ – მირჩევს. დარწმუნებული ვარ, ლიდერი ცუდ რჩევას არ მომცემს და ამიტომ შემოსასვლელი კარისკენ ვიყურები. ლიდერის სამუშაო ოთახში მცირე ცვლილებას ვამჩნევ: ლეგენდარული მეფის პორტრეტი აღარ კიდია, ე. ი. ცვლილებები უკვე დაიწყო.

შემოსასვლელი კარი იღება, ოთახში რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ გაცნობილი, შეყვარებული და დროთა განმავლობაში დავიწყებული არსება შემოდის. მისი სახელი წამებში მახსენდება: მიკი-მაუსი. ლიდერი მიკი-მაუსის ფორმაშია გადაცმული. ვდგები, რამდენიმე წამით ძალიან დაბნეული ვარ, შემდეგ თავში გონივრული აზრი მომდის – ლიდერს, რა თქმა უნდა, ამ ქმედების გასამართლებელი ძალიან დამაჯერებელი არგუმენტაცია ექნება. ვმშვიდდები, კარგია, როდესაც გწამს ადამიანის, რომლის თანამოაზრეც ხარ.

ლიდერი მანიშნებს, რომ დავეჯდე. ვჯდები.

„შენ ალბათ ელი ახსნას, რატომ შევაჩერე ჩემი არჩევანი მაინცდამაინც მიკი-მაუსზე“ – მილიმის ლიდერი. როგორ არ ვიყო ამ ადამიანით აღფრთოვანებული?! მას ხომ სხვა ადამიანების აზრების კითხვა შეუძლია. თავს ვუქნევ.

„კი, ზუსტად ეგ მაინტერესებს.“

ლიდერი დაფასთან მიდის, ფლომასტერს მარჯვენა ხელით იღებს, მარცხენა ხელით თავსახურს

ხსნის და დაფაზე ფოსფორისფერ წრეს ავლებს. წრე არ არის აბსოლუტურად სიმეტრიული, მაგრამ ლიდერი ხომ ადამიანია, ხანდახან მასაც არ გამოსდის რალაც-რალაცები. ამასობაში მე უკვე ვფიქრობ, რომ ლიდერს ძალიან უხდება მიკი-მაუსის ფორმა და, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ესთეტიკური გამარჯვება უკვე მოპოვებულია.

„აი, ეს დედამინაა, – ამბობს ლიდერი და ფლომასტრის წვერით დაფაზე გამოსახულ სფეროზე მიმანიშნებს, – დედამინა ერთია, მისი დანანევრება შეუძლებელია, ადამიანები ცდილობენ დედამინა დაყონ და იბატონონ, მაგრამ თანდათან ასეთი მიდგომა აზრს კარგავს, ყველაფერი გაერთიანებისკენ მიდის. გვინდა-არ გვინდა, ჩვენ ამ პროცესის მონაწილეები ვართ, და ახლა მითხარი, რას ეუბნება მსოფლიოს ჩვენი ლეგენდარული მეფის სახელი? არაფერს, სამწუხაროდ, სრულიად არაფერს. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული რამდენიმე ათეული ადამიანის გარდა. თავისთავად ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ ადამიანების გარკვეულ, თუნდაც მცირე ჯგუფს აინტერესებს ჩვენი წარსული, მაგრამ დღეს მასებზე გასვლის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა, ამიტომ მივიღე ასეთი მძიმე და, პირადად ჩემთვის, სევდიანი გადაწყვეტილება. ჩვენი ლეგენდარული მეფე მიკი-მაუსით შევცვალე, – ლიდერი ფლომასტერს თავსახურს ახურავს და დაფაზე დებს, – მიკი-მაუსი მსოფლიო სახეა. როდესაც ამბობ, რომ შენი იდეალი მიკი-მაუსია, ყველა ხვდება, რომ შენ დემოკრატიის, სიყვარულის და ცივილიზებულობის მომხრე ხარ“.

გაოცებული ვარ ამ ადამიანით, მისი გამჭრიახობით,

ვდგები ფეხზე და აბსოლუტურად გულწრფელად ტაშს ვუკრავ ლიდერს.

„ეს გაბრწყინებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია“ – ვამბობ. ლიდერი მანიშნებს, რომ დავჯდე. ვჯდები და ბრწყინვალე მომავალს წარმოვიდგენ: მიკი-მაუსის ფორმაში გამონწყობილი ლიდერი მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებს, ინტელექტუალებს, ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლებს ხვდება და მათგან უპირობო დახმარების გარანტიას იღებს. მინდა, რომ კიდევ წამოვდგე და ტაში დავუკრა ლიდერს, მაგრამ მეშინია, ლიდერის თვალში მლიქვნელად არ გამოვჩნდე და ამიტომ თავს ვიკავებ, არადა, ძალიან მინდა. სახლში რომ დავბრუნდები, აუცილებლად დავუკრავ ჩუმ ტაშს, ამას ისე გავაკეთებ, რომ ლიდერის პირადი ინფორმატორი ვიდუოკამერები ვერ დამაფიქსირებენ – საწოლში თავზე საბანნაფარებული დავუკრავ ჩუმ ტაშს...

3

ძალიან კარგი ამბის მოსმენის დროც დადგა; ლიდერი მარჯვენა ხელს მარცხენა მხარზე მადებს. მომწონს, ლიდერი რომ მეხება, ძალიან მინდა, რომ ქალი ვიყო და ლიდერისთვის შვილების გაჩენა შემეძლოს. დღემდე ჩვენს შვილებად პატარა ლეგენდარული მეფეები მყავდა წარმოდგენილი, დღეიდან კი პატარა მიკი-მაუსებს წარმოვიდგენ. თავიდან შეიძლება შემეშალოს და კვლავ პატარა ლეგენდარული მეფეები წარმოვიდგინო პატარა მიკი-მაუსების

ნაცვლად, მაგრამ მხოლოდ თავიდან, შემდეგ აღარ შემეშლება. ჯერჯერობით ახალი ცხოვრების პირველი დღეა და შეცდომის დაშვება გამორიცხული არ არის. ლიდერი ჩემი მხრიდან ხელს იღებს და ოცნება, ქალობაზე და ლიდერისთვის შვილების გაჩენაზე, მიქრება.

ლიდერი ამბობს:

„მიუხედავად იმისა, რომ მიკი-მაუსი მსოფლიო სახეა, მისი არჩევა საფრთხეს მანც შეიცავს. არ უნდა დავავინყდეს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიკი თავვია და არაფერი თავგური მისთვის უცხო არ არის. დილით, როდესაც მე პრესისთვის განცხადებას გავაკეთებ და საზოგადოება შეიტყობს ჩემი გადანყვეტილების შესახებ, ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები განაცხადებენ, რომ ისინი კატები არიან, მიკი კი თავვია და კატების ძალიან ეშინია. მიკის დაცვა ჭირდება, მიკის ერთგული ძალღი ჭირდება და ეს ერთგული ძალღი შენ იქნები, შენ დააფრთხოვ მიკის მტრებს, – პაუზა. ლიდერი მიღიმის, – ესეც ძალიან კარგი ამბავი“.

სამი რამ მიხარია ერთდროულად: 1. დავნინაურდი; 2. ლიდერმა გასაკუთრებული ნდობა გამომიცხადა და თავის ერთგულ ძალღად ამირჩია; 3. რაც ყველაზე მთავარია, ლიდერმა ჩემი დანინაურება და ერთგულ ძალღად არჩევა უფრო კარგ ამბად ჩათვალა, ვიდრე საკუთარი მესიანისტური ნაბიჯი. მე ყოველთვის მოოცებდა მისი ასეთი თავმდაბლობა.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები შავი მაისურებით, მაისურებზე თეთრი წარწერით „სიმართლის ტყვე“ და ხელებზე ბორკილდადებულები მოდიან. ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია. ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ლიდერი ჟურნალისტებს ზღუდავს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. არანაირი შეზღუდვა. ლიდერი მათ ხელფასს უხდის, თან ეუბნება, თუ არ მეთანხმებით, წადითო. ისინი არ მიდიან, ასე რომ, არანაირი შეზღუდვა – ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით ხდება.

ლიდერის გვერდით ვზივარ. მარჯვენა ხელით (კინალამ თათი ვთქვი) მინერალური წყლის ბოთლს ვიღებ და ლიდერს მინერალურ წყალს ჭიქაში ვუსხამ. წყალი შხრიალებს, მომწონს ეს ხმა. ლიდერი მადლობის წიშნად თავს მიქნევს და ჟურნალისტებისათვის და, ჟურნალისტების მეშვეობით, ხალხისთვის საკუთარი გადაწყვეტილების ახსნას განაგრძობს. რთულია დიდი ადამიანის ცხოვრება, მას განუწყვეტილად უნევს პრიმიტივებისთვის საკუთარი გადაწყვეტილებების ახსნა. ამ პროცესს დრო და ენერჯია მიაქვს. ხანდახან ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა, ლიდერს თავისი ნიჭი ხელოვნების რომელიმე დარგისთვის მოეხმარებინა ან, საერთოდ, მეუდაბნოე გამხდარიყო. მე ვგრძნობ, როგორ უჭირს მას ცხოვრება და როგორი მარტოა ჩვენ შორის.

ერთ-ერთი „სიმართლის ტყვე“ ლიდერს ეკითხება, რამდენად ინფორმირებულნი არიან ჩვენი მეგობრები მსოფლიოში ლიდერის ახალი იმიჯის შესახებ და თუ არიან, როგორია მათი რეაქცია.

ლიდერი იღიმის:

„პირველ რიგში, მცირე შესწორება; მიკი-მაუსი ჩემი ახალი იმიჯი არ არის, ის ჩვენი, ხაზს ვუსვამ, ჩვენი ბედისწერაა. ახლა, რაც შეეხება თქვენს შეკითხვას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო დემოკრატიის ვიდუოკამერები მუშაობენ, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინფორმაცია გამჭვირვალეა, მივიღე რამდენიმე მილოცვაც.“

კიდევ ერთი „სიმართლის ტყვე“ იღებს ხმას. ვგრძნობ, ლიდერი დაიღალა და თათებს მსუბუქად ვატყაპუნებ მაგიდაზე. ასე ვანიშნებ ჟურნალისტებს, რომ დროა დავამთავროთ, მაგრამ ლიდერის კეთილგანწყობა უსაზღვროა და შეკითხვის დასასმელად გამზადებულ ჟურნალისტს შეკითხვის დასმის უფლებას აძლევს.

და ისიც სვამს შეკითხვას:

„თუ არის დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებები?“

ზეიმები ლიდერის სისუსტეა. ეს სისუსტე ძალიან კარგად წარმოაჩენს, შინაგანად რამდენად ბავშვური და სუფთაა ლიდერი. ამ დროს მინდა, მზრუნველი მამასავით თავზე ხელი გადავუსვა, მაგრამ ვერ ვბედავ, და რომც გავბედო, ვიცი, შეხებისთანავე ქალობა და მისთვის შვილების გაჩენა მომინდება, ხოლო ეს სურვილი დიდ ტკივილს მაყენებს, რადგან ის აუხდენელ სურვილთა კატეგორიას განეკუთვნება...

საზეიმო ღონისძიებების გაგონებაზე ლიდერს თვალები უბრწყინდება, ბედნიერია. „რა ლამაზი ხარ, შვილო, როგორ გიხდება ბედნიერება“, – ვფიქრობ მზრუნველი მშობელივით და თავს ძალას ვატან, რომ სიამოვნებისგან არ ავნკმუტუნდე.

„რა თქმა უნდა, საზეიმო ღონისძიებები ჩატარდება,

მაგრამ მათ შინაარსს საიდუმლოდ დავტოვებ, ეს სიურპრიზია“, – ლიდერი სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავს.

პრესკონფერენცია დასრულებულია, „სიმართლის ტყვეები“ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ და დროდადრო ბორკილებს აჩხარუნებენ.

5

ლიდერი და მე ლიდერის სამუშაო ოთახში ვართ. ლიდერი ფანჯარასთან დგას, მე მაგიდასთან სკამზე ვზივარ. ლიდერს ხელები ჯიბეებში აქვს ჩაყოფილი, მე ხელები მაგიდაზე მიწყვია, ლიდერი ნერვიულობს, ბუნებრივია, მეც ვნერვიულობ, რადგან ლიდერი ნერვიულობს. ლიდერი ჩემთვის მოულოდნელად მკვეთრად ტრიალდება, საკუთარ სავარძელთან მიდის, ჯდება, მაგიდაზე მარჯვენა ხელს აბრაახუნებს და ამბობს:

„დავიღალე, აღარ შემძლია, მივატოვებ ყველაფერს და წავალ აქედან, წავალ და უკან არ მოვიხედები, არ უნდა ამ ხალხს არაფრის შეცვლა“, – ლიდერი მაგიდის უჯრას ალებს, იქიდან რამდენიმე გაზეთს იღებს და უჯრას ხურავს, გაზეთებს მაგიდაზე ყრის. ვხვდები, რომ ჩემ წინ, მაგიდაზე, ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრების მიერ დაფინანსებული პრესაა. სათაურებს ვკითხულობ პირველ გვერდებზე, ამაზრზენია. უმადურები! გაზეთებს მაგიდაზე ვანყო, ვდგები, ლიდერთან მივდივარ, მის ფეხებთან ვწვები (დაჩოქება მიწოდოდა, მაგრამ არ გამომივიდა):

„ადამიანები უმადურები არიან, ადამიანებმა ჯვარს

აცვეს ქრისტე, ადამიანები კლავდნენ წინასწარმეტყველებს", – ვეუბნები ლიდერს, ლიდერი თავზე მისვამს ხელს, ვიტრუნები...

„ქრისტე, წინასწარმეტყველები, ეს წარსულია; წარსული არ არსებობს, არსებობს მხოლოდ აწყობა და ჩემი ტკივილი აწყობა, ამიტომ ის გაცილებით რეალურია, ვიდრე წარსულის ყველა ტკივილი. ნავალ აქედან, ნავალ და უკან არ მოვიხედები...“

ლიდერი რამდენიმე წუთის წინ ნათქვამ წინადადებას იმეორებს, თუმცა გამეორებები არ არსებობს, რადგან წარსული არ არსებობს.

„დარჩით, – ვთხოვ ლიდერს, – მესმის, თქვენი აწყობა ერთი დიდი ტკივილია, მაგრამ რეალურად თქვენ მომავალს ეკუთვნით“.

ლიდერი დგება, ავყურებ, დამყურებს.

„მომავალი მხოლოდ, – ლიდერი თავზე მსუბუქად იკაკუნებს მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს, – თავში არსებობს. მე თუ შენ დაგიჯერებ და ჩავთვლი, რომ მომავალს ვეკუთვნი, ამ შემთხვევაში გამოდის, მე გარანტირებულად ვარსებობ ადამიანთა თავებში, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ამ თავებს მომავალი, საშინელებად თუ სამოთხედ? თუმცა ეს ძალიან რთული საკითხია და მისი განვრცობა საჭირო არ არის, სიტყვაზე გენდობი და ვრჩები.“

სიამოვნებისგან ვწკმუტუნებ...

მშია. სასადილოში ჩავდივარ, ორ ჰამბურგერს ვიღებ, მაგიდაზე ვაწყობ. ხორცი მიყვარს, პური – აღარ. აქედან გამომდინარე, ხორცს ვჭამ, პურს ვტოვებ.

სამუშაო ოთახში ავდივარ და მომენტალურად ლიდერის დავალების შესრულებას ვინყებ. აგენტებთან ვაგზავნი მოთხოვნას, გაარკვიონ, რა განწყობაა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში და ამის შესახებ, არაუგვიანეს დღევანდელი ღამისა, ანგარიში ჩამაბარონ. შემდეგ თვალებს ვხუჭავ და ცოტა ხნით ვიძინებ. მესიზმრება, ხესთან ვდგავარ, ხის კენწეროზე ლიდერი ზის, ბავშვია, ტირის და შველას ითხოვს. ხეზე მივცოცავ, შუა გზაზე მელვიძება. გაღვიძებულს მახსენდება, რომ ლიდერის ბავშვობის არც ერთი ფოტო არ მაქვს ნანახი და გული მწყდება. შემდეგ მახსენდება, რომ წარსული არ არსებობს და უცებ მიქრება გულდანყვეტა...

პირველი ანგარიში საღამოს 7 საათზე შემოდის, მისი ავტორი აგენტი 877-ია. ვკითხულობ:

„ლიდერის გადაწყვეტილებას სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ. აღფრთოვანება და ამალღებული განწყობა იგრძნობა ყველგან: კაბინეტებში, სასადილოში, დერეფნებში, ტუალეტში, აღფრთოვანებული ადამიანები ლილინ-ლილინით შარდავენ; ხელმძღვანელმა პირებმა სასწრაფოდ გამოყვეს თანხა მიკი-

მაუსის კოსტიუმების შესაძენად. უახლოეს მომავალში სახელმწიფო სტრუქტურების უკლებლივ ყველა თანამშრომელი უფასოდ მიიღებს მიკი-მაუსის კოსტიუმს. არსებობს მხოლოდ ერთადერთი პრობლემა: რა უნდა ქნან სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელმა ქალბატონებმა? ჩაიცვან მიკი-მაუსის, თუ მისი შეყვარებულის, მომხიბვლელი მინი მაუსის კოსტიუმი? ლიდერმა საკუთარი აზრი მხოლოდ მიკი-მაუსის შესახებ გამოთქვა, აქედან გამომდინარე, უმრავლესობა იხრება აზრისკენ, რომ ქალბატონებიც მიკი-მაუსის კოსტიუმში უნდა გამოენცონ, თუმცა არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც: ამ მოსაზრების თანახმად, საქმე ტექნიკურ პრობლემასთან გვაქვს და ლიდერი უახლოეს მომავალში აუცილებლად მინი მაუსის შესახებაც გამოთქვამს საკუთარ დადებით აზრს.“

„მიყვარს გონიერი ადამიანები“, – ფიქრობ და კმაყოფილი, ანგარიშს გვერდით ვდებ.

8

ვგრძნობ, რომ მოფერება მჭირდება, მაგრამ – სად? რა თქმა უნდა, შემოიძლია ექვსივე მომფერებელ ქალს ვუხმო, დავანყებინო მუშაობა და გამორიცხვის მეტოდით მივხვდე, სად მსიამოვნებს ყველაზე მეტად მოფერება, მაგრამ ახლა ხალხმრავლობის თავი ნამდვილად არ მაქვს. თან ძალღი ხომ არ ვარ, ადამიანი ვარ და რაღაცეებს ფიქრითაც შემოიძლია მივხვდე. არანაირი სექსი (არც ანალური, არც ორალური, არც პატიოსანი) არ მინდა. ასე რომ, სამი მომფერებელი ქალი უკვე

გამოირიცხა. არც მასაჟი მინდა, არც პატარა გოგონა, რომლის მამიკოც ვიქნები და კარტს ვითამაშებთ გახდაზე და შეხებაზე. დარჩა ერთადერთი ვარიანტი: თავზე მოფერება. მომფერებელ ქალ ნომერ 4-ს ვუხმობ, თავს კალთაში ვუდებ. მომფერებელი ქალი ნომერი 4 თავზე მეფერება და ლეკვს მეძახის...

სწორი არჩევანი გავაკეთე, კარგია, რომ მაინც ადამიანი ვარ და არა ძაღლი...

9

ცხრის ნახევარზე მეორე ანგარიში შემოდის, მისი ავტორი აგენტი 871-ია. ვკითხულობ:

„ლიდერის გადანყვეტილებას ქურუმების ერთი (კონსერვატიული) ნაწილი ნეგატიურად შეხვდა. მათ ლიდერის გადანყვეტილებაში ერესი დაინახეს. მოგეხსენებათ, მიკი-მაუსი ადამიანისგან განსხვავებით უშუალოდ ღმერთის მიერ შექმნილი ქმნილება არ არის. ის ღვთაებრივი დაშვებით კონკრეტულმა ადამიანმა (უოლტ დისნეიმ) შექმნა, აქედან გამომდინარე, ქურუმების ერთი (კონსერვატიული) ნაწილი მასში ღვთაებრივ პოტენციას ვერ ხედავს. თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ მიკი-მაუსი მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოა და მის გამო არ ღირს ლიდერთან დაპირისპირება. განხილვა ხვალისთვის გადაიდო“.

„როგორც ყოველთვის, დაპირისპირებაზე არ ნამოვლენ“, – ვფიქრობ და ანგარიშს გვერდით ვდებ...

მაგიდასთან ვწევარ, თავი თათებზე მიდევს, ვფიქრობ და ვწუხვარ, რატომ არ არსებობს მინაზე ერთადერთი, ყველასთვის მისაღები აზრი. ხომ აშკარაა, რომ მრავალფეროვნება ილუზიაა და რეალურად ორფეროვნებასთან გვაქვს საქმე: თეთრი ან შავი, კარგი ან ცუდი. ლიდერი ყოველთვის კარგს ირჩევს, მაგრამ რადგან ეს კარგი ლიდერის მიერაა არჩეული, ვილაც-ვილაცეებისთვის ის მიუღებელია. რატომ ვერ იტანენ ადამიანები ერთმანეთს? თათს თავზე ვისვამ, შემდეგ ვიზმორები, ვდგები, მაგიდასთან მივდივარ, სკამზე ვჯდები და საკუთარ თავს ვეკითხები: რატომ ვერ ვიტანთ ადამიანები ერთმანეთს?

ათ საათზე მესამე ანგარიში შემოდის. მისი ავტორი აგენტი 891-ია. ვკითხულობ:

„მნიგნობრებში ტრადიციულად ქაოსია, ლიდერის ახალი გადაწყვეტილების თემა ჩაიკარგა ისეთ თემებს შორის, როგორებიცაა: მიკი-მაუსი უფრო მაგარია თუ დონალდ დაკი? მიკი-მაუსი და ფაუსტი – მეტაფიზიკის ორი რუხი კარდინალი. მიკი-მაუსი უნარ-ჩვევების გამოცდის ჩასაბარებლად მიდის და ა.შ. მნიგნობრების განწყობა, როგორც სხვა შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც არანაირ საფრთხეს არ შეიცავს, ანუ საქმე გვაქვს თამბაქოს კვამლით გაბულულ ოთახებში წარმოებულ ქაოსურ საუბრებთან...“

მელიმება. გალიმებული, ანგარიშს გვერდით ვდებ.

ზუსტად ამ დროს მეოთხე ანგარიში შემოდის. მისი ავტორი აგენტი 899-ა. ვკითხულობ:

„ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრებმა ლიდერის განცხადებაზე ერთხმად გაიცინეს, მაგრამ მე ვიკითხე: და რომ აყვეს ხალხი? ამის შემდეგ დაიწყო განხეთქილება, ამჟამად სამი ჯგუფია ჩამოყალიბებული. 1. ხალხი ბნელი არ არის და ამ სისულელეს არ აყვება. 2. ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ და კატები უნდა გავხდეთ (სიტყვა კატას ვყნოსავ, შემდეგ ვულრენ). 3. რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ კატობა არაფერ შუაშია, ჩვენც მიკი-მაუსები უნდა გავხდეთ და დავამტკიცოთ, რომ რეალური, ნამდვილი მიკი-მაუსები ჩვენ ვართ. ჯერჯერობით ასეთი სიტუაციაა...“

ანგარიშს გვერდით ვდებ.

უკანასკნელი ანგარიშის მოლოდინში ვარ, ვზივარ. უკვე თერთმეტი საათია, ახალი ცხოვრების პირველი დღე სრულდება. ვამთქნარებ. ხვალ რალაც-რალაცები აუცილებლად მოხდება. მეორე დღე პირველზე უმნიშვნელო არ იქნება, არც მესამე, არც მეოთხე. ყველა დღე ერთნაირად მნიშვნელოვანია, ამის მაგალითი ღმერთმა მოგვცა სამყაროს შექმნისას. ლიდერიც ამის მაგალითს გვაძლევს.

ყველა დღე ერთნაირად უმნიშვნელოა, ამის მაგალითს ადამიანები აძლევენ ერთმანეთს საკუთარი

ცხოვრებით. კარგია, რომ ადამიანი აღარ ვარ...

უკანასკნელი ანგარიშიც შემოდის, მისი ავტორი აგენტი 822-ია. ვკითხულობ:

„ხალხის განწყობების შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ხალხი არ არსებობს...“

აგენტ 822-ის ეს ანგარიშიც მისი ყველა ძველი ანგარიშის იდენტურია. ანგარიშს გვერდზე ვდებ.

14

ქუჩაში გამოვდივარ, აქეთ-იქით ვიყურები. განათებულ შენობებს, ავტომობილებს და ადამიანებს ვხედავ, ვგრძნობ, რომ ძალიან მარტო ვარ. არავინ მყავს ახლობელი, არავინ – ლიდერის გარდა...

მივძუნძულებ, თავი დაბლა მაქვს დახრილი, დროდადრო ვჩერდები, მინას ვყნოსავ. მარტო ვარ, ძალიან მარტო, არავინ მყავს ახლობელი, არავინ, ლიდერის გარდა, არც მინის ზევით, არც მინაში.

გადასასვლელისკენ მივდივარ: ადამიანები გაჩერებაზე დგანან და უკანასკნელ ავტობუსს ელოდებიან: ვჩერდები; ჩემს გვერდით ორი ადამიანი დგას;

„მიყვარხარ, ანა“.

„მეც ძალიან მიყვარხარ, დათო“.

ერთმანეთს ეუბნებიან ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს, ადამიანების ენა აღარ მესმის. ძალიან კარგი, ასე უფრო ერთგულად დავიცავ ლიდერს.

გადასასვლელზე გადავდივარ და დაღმართზე ვეშვები.

2010 წ.

1:3

1

სანოლზე წამოვჯექი, დავამთქნარე, გავიზმორე, ტუმბოდან მობილური ტელეფონი ავიღე, ხმას ავუწიე, შემდეგ საათს დავხედე. ადგომის დრო იყო. ავდექი და სააბაზანოსკენ წავედი. გადავწყვიტე, რომ შხაპის ქვეშ მოვფსამდი, ასე უფრო ნაკლები მოძრაობის გაკეთება დამჭირდებოდა...

2

სანოლზე წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ოთახში მიმოვიხედე, ოთახი არეული იყო. ბალიში გავასწორე, შემდეგ კვლავ დავმთქნარე და ჩემს პირდაპირ მდგარ ნიგნების კარადას მივაჩერდი. „მსოფლიო ლიტერატურის სანაგვე, – გავიფიქრე, – სანაგვე ამ შემთხვევაში ერთდროულად რეალობაცაა და მეტაფორაც“ – დავასკვენი... დღე ფილოსოფიურად დაიწყო...

3

სანოლზე წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ფანჯრისკენ გადავიხარე, ფარდა ოდნავ გავწიე, ქუჩაში მიმავალი ადამიანები და მანქანები დავინახე,

შემდეგ ფარდა კვლავ უკან გამოვწიე, საბანი გადავიძრე და ავდექი, ლოგინი შევასწორე და ისევ დაწვექი...

1

შხაპის მიღებისას ბოლომდე გამოვფხიზლდი. გავიხსენე ვინ ვარ, რას ვაკეთებ და კონკრეტულად რა მქონდა გასაკეთებელი იმ დღეს... ონკანი დავკეტე, ფეხები ჩუსტებში გავყავი და პირსახოცი საკიდიდან ჩამოვხსენი, თავი და ტანი შევიმშრალე და სააბაზანოდან გამოვედი...

2

რალაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოვტოვე ცხოვრებაში, რალაც ძალიან მნიშვნელოვანი ვერ გავაკეთე ცხოვრებაში... ყოველთვის ვიცილებდი თავიდან პასუხისმგებლობას, ამას ფილოსოფიურად ვამართლებდი. ვფიქრობდი, რომ პასუხისმგებლობა სუბიექტური კატეგორიაა და არავის არ აქვს უფლება, მიმითითოს ან მიწოდოს უპასუხისმგებლო, ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია საკუთარი თავისთვის, მაგრამ ეს არასდროს გამიკეთებია. საკუთარი თავის დასჯა შეუძლებელია ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, ჩემი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანისთვის, რადგან ჩემთვის ერთადერთი რეალობა, სინამდვილე, მე თვითონვე ვარ... მოვკვდები და ყველაფერი დამთავრდება, ჩემი სიკვდილი ჩემი აპოკალიფსია, ჩემი სიკვდილი ჩემთვის მეორედ მოსვლაა...

ჩაძინებისთანავე დამესიზმრა ზღვა. გამახსენდა, რომ წყალი სიზმარში ცვლილებებს ნიშნავს, შემდეგ გამახსენდა, რომ სიზმრების მაგიური ძალის არ მჯეროდა და მათი ახსნა სისულელედ მიმაჩნდა, ამიტომ ზღვას მშვიდად გავხედე. ზღვა ბინძური იყო. ზღვისკენ ნავედი.

1

სამარშუტო ტაქსიში უკანა რიგში დავჯექი. ყოველთვის ასე მირჩევნია... ასე უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, როდესაც ჩემს უკან არავინაა. როდესაც ჩემს უკან მყარი საზღვარია. სამარშუტო ტაქსიდან ვხედავდი უკვე ათასჯერ დანახულ შენობებს, სარეკლამო ბანერებს, საგზაო ნიშნებს. ვხედავდი გზაზე მიმავალ მანქანებს, მძღოლებს, მგზავრებს, ავტომობილის ნომრებს. ამასობაში სამარშუტო ტაქსიში მგზავრები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ.

2

აქ ბედნიერება შეუძლებელია. სივრცეა ისეთი, თავისთავად არასრულყოფილი, უფრო სწორად, თავად მე ვარ არასრულყოფილი; ეს თავისთავად მოხდა და აქედან გამომდინარე, ჩემი მხრიდან რალაციის სრულად შემეცნება, რალაციის მყარად დაჯერება გამორიცხულია; არა, გამორიცხული არ არის, მაგრამ ფანატიკო-

სობა არასდროს ყოფილა ჩემი ხელობა. თუმცა გამუდმებით იმის მტკიცება, რომ ფანატიკოსი არ ხარ, უკვე ფანატიკოსობაა, ამიტომაც არაფერს არ ვამტკიცებ. უკვე დიდი ხანია მეთვალყურე ვარ, უბრალოდ თვალს ვადევნებ, როგორ ებრძვიან ფანატიკოსი ლიბერალები რელიგიურ ფანატიკოსებს, როგორ წოვენ საქმოსნები საკუთარ თანამშრომლებს, როგორ უმახინჯებენ ცხოვრებას მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს... მეთვალყურე ვარ და წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ ვხუჭავ (რეალურად, თუნდაც მეტაფორულად) თვალს, რაში მჭირდება ეს გამოცდილება? სად გამომადგება ეს გამოცდილება?

3

ზღვაში შევედი, ზღვამ უცებ გასუფთავება დაიწყო, ჩავყვინთე; თევზებსა და მცენარეებს შორის მივცურავდი. მივცურავდი სწრაფად, ღონივრად ვუსვამდი ხელებს და ფეხებს. შემდეგ დავინახე წყალქვეშა სახრჩობელა, რომელზედაც ჯარისკაცები იყვნენ ჩამოკიდებულები. „წყალქვეშ ჩამოლრჩობა ალბათ სიახლეა“, გავიფიქრე და ამოვყვინთე...

ზღვის მაგივრად აუზში ვიყავი... გამიხარდა და კვლავ ჩავყვინთე, აუზის ფსკერი სუფთა იყო... ამოვყვინთე, შემდეგ აუზიდან ამოვედი, უზარმაზარი თეთრი სასახლე დავინახე...

სამსახურში ჩემი ყოფილი ცოლი დამხვდა... გამახსენდა, რომ 7 რიცხვი იყო... ალიმენტის გადახდის დღე... ჩემმა ყოფილმა ცოლმა თავიდანვე უარი თქვა ყოველგვარ ცივილიზებულ ურთიერთობებზე, ბანკში ფულის ჩარიცხვაზე და ასე, ყოველი თვის 7 რიცხვში, სამსახურში მადგება, თუ რა თქმა უნდა, 7 რიცხვი შაბათ-კვირას არ ემთხვევა... სახეზე არასოდეს ვუყურებ... ფული მივეცი. ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემი ხელი მის ხელს და ცუდად გავხდი. ერთმანეთი დაქორწინებიდან ერთ კვირაში შეგვძულდა... ბავშვი მოვიკითხე. მითხრა, რომ კარგად არის... დავიშალეთ...

როდის დავიჯერე (სისულელე), რომ ჩემი ცხოვრება განსაკუთრებული იქნებოდა – არ ვიცხოვრებდი სხვებივით მოსაწყენად, სიცარიელეში; არ ვიქნებოდი სხვებივით უინტერესო და დინებას მიყოლილი... ალბათ ბავსვობაში, როდესაც ჩემს მშობლებს ვუყურებდი, როგორ ითვლიდნენ შემოსავალ-გასავალს და ვფიქრობდი, რომ ასეთი არ გავხდებოდი – არც ფიზიკურად და არც შინაგანად. იმ დროს სიტყვა სულიერების მნიშვნელობა არ ვიცოდი. ზუსტად არც დღეს ვიცი, რა არის სულიერება – ნაკითხული წიგნები, ნანახი ფილმები, მოსმენილი მუსიკა, ან იქნებ ამ ყველაფერზე მეგობრებთან პირის აქაფება, ან იქნებ, საზოგადოებრივი აქტიურობა რაღაც იდეების-

ვის... დიდი ხანია არც ერთი იდეის განხორციელების შესაძლებლობის აღარ მჯერა, ნებისმიერი განხორციელების მცდელობა იდეას ამახინჯებს...

3

თეთრ სასახლეში შევედი. შიგნიდან თეთრი სასახლე ზუსტად ისე იყო მოწყობილი, როგორც ჩემი ბავშვობის პატარა სახლში და გავიფიქრე, რომ ამ სახლს სიზმარშიც კი ვერ ვაღწევდი თავს. შემდეგ ნივთებმა მოძრაობა დაიწყეს. საძინებლიდან დედაჩემი გამოვიდა, კმაყოფილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ ნივთებმა საკუთარი თავის მოვლა ისწავლეს, შემდეგ მე შემომხედა და ინატრა: „ნეტავ შენ როდის შეძლებ იმავებს?!“ თავი კარადისკენ მივატრიალე, კარადის შუშაზე საკუთარი ანარეკლი დავინახე. პატარა ვიყავი. „შუშა ტყუის, ან გაფუჭებულია“, – გავიფიქრე...

1

მეორე სართულზე მთავარი რედაქტორის მოადგილე შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ, შემდეგ მან მოულოდნელად მკითხა: „შენს მშობლებს სიყვარულის ჯეროდათ?“ დავაკვირდი, თვალებში შევხედე, თან ვფიქრობდი, ჯეროდათ ჩემს მშობლებს სიყვარულის თუ არა, უფრო სწორად, ვიხსენებდი... ჯეროდათ თუ არა... „ყველაფერი მაგის ბრალია...“ – მითხრა მთავარი რედაქტორის მოადგილემ... „მე ხომ არ მითქვამს

ჯეროდათ, თუ არ ჯეროდათ" ... „რა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი ჩვენი მშობლების ბრალია..." მთავარი რედაქტორის მოადგილემ გზა განაგრძო... რალაც ვერ იყო ხასიათზე... დავამთქნარე... მარცხენა ხელისგული პირთან მივიტანე...

2

რატომ დავიბადე მაინცდამაინც აქ... რატომ მაინცდამაინც კაცად... რატომ მყავდა მაინცდამაინც ეს მშობლები... რატომ მყავდა ორი უფროსი და... და არა თუნდაც ორი უმცროსი და, რა განსაკუთრებული აზრი იყო ამ ყველაფერში.... ამ რამდენიმე მსგავს შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი მქონდა: „ნებისმიერი ადამიანი მისთვის საუკეთესო გარემოში იბადება და ეს გარემო სხვა ყველა გარემოზე უკეთესია"... ეს პასუხი ძირითადად მაკმაყოფილებდა მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლმხედველობა რამდენიმე საუკუნის წინ ვოლტერმა გენიალურად გაიდო ფეხქვეშ... ვოლტერი ადამიანი იყო. ადამიანის შეხედულება შეიძლება იყოს გენიალური, მაგრამ გენიალურობა არ ნიშნავს აბსოლუტურს... ჩემი ბუნებრივი წყობა სამყაროში ყოველგვარი შემთხვევითობის არსებობას გამოირიცხავდა. როდის გავხდი ასეთი? იქნებ 5 წლამდე, 5 წლამდე ცხოვრება უსასრულო, ბნელი გვირაბია, სადაც მხოლოდ ხელის ცეცებით არის მოძრაობა შესაძლებელი, ეს ცხოვრების ერთადერთი რომანტიკული მონაკვეთია, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს რომანტიკული, რაც არ გახსოვს...

საძინებლის კარი შევალე და შევედი... საძინებლის მაგივრად მატარებლის ვაგონის დერეფანში აღმოვჩნდი... მატარებელი მიქროდა... ვირწოდი და მატარებლის მოძრაობის ხმა მესმოდა... შემდეგ ვაგონის დერეფანში ჩემი ატირებული დები გამოჩნდნენ. ერთდროულად მითხრეს, რომ მამა დაიკარგა... მამა ჩემი ატირებული დების უკან იდგა და მილიმოდა, ან უბრალოდ, თავისთვის ილიმოდა... ვაგონის ერთ-ერთი, ჩემგან ყველაზე ახლოს მდებარე ფანჯარა ჩამოვნიე და მატარებლიდან გადმოვხტი... გავიფიქრე, რომ დაცემამდე აუცილებლად გავიღვიძებდი...

1

კომპიუტერთან დავჯექი. ფოსტა შევამოწმე, სამი წერილი მქონდა, სამივე სპამი, ავდექი და მოსაწევ ოთახში გავედი... იქ სპორტის განყოფილების უფროსი დამხვდა, მარცხენა ხელში სიგარეტი ეჭირა, მარჯვენაში – ყავის ერთჯერადი, პლასტმასის ფინჯანი, სიგარეტი ამოვიღე და ასანთი ვთხოვე... მომცა. სპორტი ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა, ამიტომაც სპორტულ ჟურნალისტებთან მეგობრობა ნაკლებად, უფრო სწორად, უინტერესოდ გამომდიოდა... სიგარეტს მოვუკიდე და ასანთი დავუბრუნე, ზრდილობისთვის ვკითხე: „ახალი არის რამე?“ მან ასანთი ჯიბეში ჩაიდო და მითხრა: „ალბათ ომი დაიწყება, გაატრაკეს საქმე“. „ვინ?“ – ვკითხე და ყავის აპარატისკენ წავედი...

ადამიანი, რომელმაც ღმერთი გამოიგონა, შექმნა ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, პროგრესი, უკვდავება, ღირსეული და ძლიერი არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება სრულიად უაზროა. რაც შეეხება ადამიანს, რომელიც ღმერთმა შექმნა, მისცა მას სამყარო, ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, განვითარების საშუალება და გარანტირებული უკვდავება, რა თქმა უნდა, ნაკლებად ღირსეული არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება აზრიანია, რადგან ამ ადამიანის ირგვლივ ყველაფერი ნამდვილია, შექმნილია და არა გამონაგონი... ყოველთვის, როდესაც ღირსებასა და აზრს შორის ვირჩევ აზრს, ცხოვრება ასატანია, მისაღებია... ყოველთვის, როდესაც ვირჩევ ღირსებას, სიცარიელეში ვრჩები... მაგრამ, ძირითადად, უბრალოდ ვცხოვრობ – ღირსებისა და აზრის გარეშე...

ჰაერში ამიტაცეს... არ ვიცი, ანგელოზები იყვნენ თუ ეშმაკები, თვალები დახუჭული მქონდა; ფეხები ერთმანეთზე მივატყუპე, ხელები გულზე დავიკრიფე და გავიტრუნე. ვის ხელში ვიყავი – ანგელოზების თუ ეშმაკების? ჰაერი იყო სუფთა, კამკამა ან თავს ვიჯერებდი, რომ ჰაერი იყო სუფთა და კამკამა, მეშინოდა...შემდეგ ვიღაცამ მხარზე ხელი დამიტყაპუნა, თვალები უნებურად გავახილე, ცა დავინახე. „ცა არ არის ყოველთვის ცისფერი“, გამახსენდა სადღაც

ნაკითხული წინადადება. ამჯერად ცა ცისფერი იყო, შემდეგ აქეთ-იქით მიმოვიხედე... მინდორზე ვინეკი, მინდორზე გველები დაცურავდნენ, გავიფიქრე: „გველები სამოთხეში დადიოდნენ, ესე იგი, სხვაგან ვარ“...

1

შუადღეს მთავარმა რედაქტორმა დამირეკა და მასთან კაბინეტში ასვლა მთხოვა... მთავარი რედაქტორი სავარძელში იჯდა, მარცხენა ხელში ტელევიზორის პულტი ეჭირა, მარჯვენაში – სიგარეტი, მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი... დავჯექი. „ყველა ვარიანტში ომი იწყება“ – თქვა მთავარმა რედაქტორმა და ტელევიზორისკენ გაიშვირა პულტიანი ხელი... ტელევიზორში ჯარისკაცები მოძრაობდნენ აქეთ-იქით. მთავარმა რედაქტორმა განაგრძო: „ექსკლუზივი გვჭირდება შტაბის უფროსთან, შენ უნდა მოახერხო. ჩვენი გაზეთი ყველანაირად მხარს უჭერდა შტაბის სამხედრო-პარტიოტულ პროგრამას, ასე რომ, ჩვენდამი დადებითი განწყობა არსებობს და ეს განწყობა უნდა გამოვიყენოთ“... მთავარმა რედაქტორმა სიგარეტი მოქაჩა, შემდეგ მაგიდაზე მდგარ საფერფლეში ჩააფერფლა...

2

ცხოველების მიხედვით ადამიანებზე მსჯელობა მცდარია; ასევე მცდარია ადამიანზე ღმერთის მიხედვით მსჯელობაც. ძალიან დიდი ხანია, რაც ადამიანები

ორივეს დაშორდნენ, ცხოველებსაც და ღმერთსაც, თუმცა დღემდე ერთმანეთს ხან ცხოველს ეძახიან, ხან ღმერთს, გააჩნია განწყობას... გააჩნია კონტექსტს, მიუხედავად ამისა, ადამიანებზე ცხოველების და ღმერთის მიხედვით მსჯელობა მცდარია... ასევე მცდარია ცხოველების გაადამიანება. რაც შეეხება ღმერთის გაადამიანებას, ეს ერთხელ მოხდა და ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ადამიანებს აღიზიანებთ, როდესაც ღვთაებრივი და ადამიანური ერთმანეთში ირევა და ამ ნარევს ადამიანური სახე აქვს, სამაგიეროდ იმავე ნარევს სხვა, არაადამიანური სახით ყოველთვის უპრობლემოდ იღებენ...

3

ერთ-ერთი გველი ხელში ავიყვანე... ძალიან ლამაზი იყო... არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. არც მე მეშინოდა და, რაც მთავარია, არ მიკვირდა, რომ არ მეშინოდა, არადა, უნდა გამკვირვებოდა... გველი ყელზე შემოვიხვიე... ყელზე შემოხვეული გველი ულამაზეს კაშნედ გადაიქცა, ხოლო ციდან თოვლი წამოვიდა... მიხაროდა, რომ პირველად ცხოვრებაში ულამაზესი კაშნე მქონდა... მივდიოდი, მათოვდა და მიხაროდა, რომ ულამაზესი კაშნე მქონდა. განსაზღვრება – „პირველად ცხოვრებაში“ ამოვაგდე, რადგან შეუფერებლად ჩავთვალე... პირველივე სახლის კარზე დავაკაკუნე... „ვინ არის ამ შუალამისას?!“ – გავიგონე კაცის ხმა... ცაში ავიხედე, ღამე იყო...

გენშტაბში დავრეკე და შტაბის უფროსი მოვიკითხე... „შტაბის უფროსი ერთი საათის წინ კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა“, – მიპასუხეს... გენშტაბის თანამშრომელს დავემშვიდობე და ყურმილი დავკიდე. გავიხედ-გამოვიხედე, შემდეგ ყურმილი ავიღე და მთავარ რედაქტორთან გადავრეკე. ვუთხარი, რომ გენშტაბის უფროსი კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა... „მერე დაედევნე, ექსკლუზივი გვჭირდება“... მანქანა მოვიტხოვე. ჩემი თხოვნა მთავარმა რედაქტორმა რამდენიმე წუთში დააკმაყოფილა... რედაქციას სულ სამი მანქანა ემსახურებოდა, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებს სხვადასხვა რესპონდენტებთან მისვლა და ღონისძიებებზე სიარული ძირითადად სამარშრუტო ტაქსებით გვინევდა... მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მთავარი რედაქტორისთვის ექსკლუზიური ინტერვიუ გენშტაბის უფროსთან. ეზოში ჩავედი... კახა, რედაქციის ერთ-ერთი მძლოლი მელოდებოდა... მანქანაში ჩავჯექი, კახას ვუთხარი, სადაც მივდიოდით... არ ესიამოვნა, ზანტად გადაატრიალა გასაღები, რადიო ჩავრთე...

განმარტოება არჩევანია, სიმარტოვე – მონაცემი, განმარტოებას სიმშვიდე მოაქვს, უფრო სწორად, წესით უნდა მოქონდეს სიმშვიდე; სიმარტოვე მტკივნეულია. ადამიანები ძირითადად მარტონი არიან. განმარტოე-

ბული ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან, უფრო სწორად, სხვა ადამიანების მიერ ჩვეულებრივ ადამიანებად ვერ აღიქმებიან. არის მათში რაღაც არამინიერი, რაც ერთდროულად შიშს და მოწინებას იწვევს... ყველა განმარტოებულს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, მაგრამ განმარტოებულია და ვერ ამბობს; ყველა მარტომყოფს იმდენად უმნიშვნელოდ ეჩვენება საკუთარი განცდები და ფიქრები, რომ მათ შესახებ ვერ ლაპარაკობს. აქედან გამომდინარე, ყველაფერი მნიშვნელოვანი ჩვენს თავსა და გულში ხდება...

3

ღია კარში შევედი. გავიხედე მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ. არავინ არ იყო, არაფერი არ იყო... რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ, ფეხქვეშ სიმყარე ვიგრძენი და გავიფიქრე: „ცაში არ ვარ...“ დავიხედე... ავტომობილების რამდენიმე მწკრივი დავინახე. მწკრივები დავთვალე... სამი მწკრივი იყო... შემდეგ მანქანებს დავუნყე ყურება... მამაჩემის მანქანა დავინახე... დავაკვირდი... მანქანაში მამა, დედა და მე ვისხედით... ექვსი წლის ვიყავი... გავიფიქრე: „მამა კიდევ ჩვიდმეტ წელს იცოცხლებს და მერე გულის შეტევით მოკვდება.“ ახლობელ ადამიანზე ძნელია იმის თქმა, რომ გარდაიცვალა, რადგან ზუსტად არავინ იცის, უფრო სწორად, მტკიცედ არავის ჯერა, რომ ყველაფერი ისე ხდება სიკვდილის შემდეგ, როგორც წერია, ამიტომ ახლობლები ყოველთვის კვებიან; რაც შეეხება უცხოებს, მათზე ადვილია იმის თქმა, რომ ისინი

გარდაიცვალნენ და ცოცხლად დარჩენილი ახლობლების სიკვდილის შემდგომი შეხვედრით დაიმედება... მამამ საჭე მარცხნივ გადაატრიალა... მე გზა გავავრძელე... მივხვდი, ხიდზე გავდიოდით...

1

კახამ გუშინ ნანახი ფილმის შინაარსი მომიყვა... აღფრთოვანებული იყო... ერთადერთი, რაც გავიგე, ის იყო, რომ ფილმის პერსონაჟები ერთმანეთის სიზმრებს ხედავდნენ... როგორ ახერხებდნენ ამას, ვერ გავიგე, არც მიკითხავს, სულ სხვა რამ ვკითხე კახას:

„შენ გინდა, სხვის სიზმრებს რომ ხედავდე?..“

კახამ თავი დამიქნია: „კი, აბა რა, მაგარია!“

გამელიმა: „და შენს სიზმრებს რომ სხვები ხედავდნენ?“

კახამ ერთი წამით გამომხედა, შემდეგ თავი კვლავ გზისკენ მიატრიალა... „ხანდახან მგონია, რომ ხედავენ...“

„ვინ?“ – დავინტერესდი.

კახამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მანქანის ჭერისკენ აიშვირა... თავი ფანჯარაში გავყავი და ცას შევხედე...

2

წამოვდექი, წიგნებთან მივედი, წიგნები შევათვალიერე... გვარები, სახელები, ფსევდონიმები... ყველაფერი ეს ათი წლის წინ ჩემზე ძალიან დიდ შთაბე-

ჭდილებას ახდენდა... ათი წლის წინანდელი საკუთარი თავი დამიდგა თვალწინ... თვითკმაყოფილი ბიჭი, რომელიც მხოლოდ იმიტომ უნდა ელიარებინათ სხვებს გენიოსად, რომ ბევრი ღრმაშინაარსიანი წიგნი ქონდა ნაკითხული; გამახსენდა, რომ ათი წლის წინ ვაჟიშვილი ვიყავი და გამეღიმა... მარკო-პოლოს წიგნი გადმოვიღე, შემდეგ ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე...

3

ხიდზე ასფალტი ახალი დაგებული იყო. მივდიოდი. ფეხები ცხელ ასფალტში მეფლობოდა, მაგრამ არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობდი... ხიდი გადავიარე... ჭაობისფერ კარავთან აღმოვჩნდი, კარავში შევედი, არ მინდოდა, მაგრამ მაინც შევედი... კარავში სამხედროები ისხდნენ... ერთ-ერთი წამოდგა, კარადასთან მივიდა (კარავში რომ შევედი, კარადა არ იდგა, უცებ გაჩნდა), სამხედრო ფორმა გამოიღო და გამომინოდა...

„მე, მე...“ – ვთქვი მე.

„შენ, შენ...“ – თქვა მან.

1

ერთი საათის შემდეგ გორის ცენტრალურ მოედანზე ვიდექი... ხელში მობილური ტელეფონი მეჭირა და შტაბის უფროსის ნომერს ვკრეფდი... შტაბის უფროსის ტელეფონი მომსახურეობის ზონიდან იყო გასული... გორის ცენტრალურ მოედანზე ადამიანები იყვნენ

შეკრებილნი... ერთდროულად შეშინებული და გახარებული სახეები ქონდათ... მანქანაში ჩავჯექი და კახას ვუთხარი, რომ სამხედრო ბაზაში უნდა წავსულიყავით... კახამ მანქანა დაქოქა, აშკარად არ მონონდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა...

2

ფანჯარაში გავიხედე... „ადამიანებს ზევიდან უნდა უყურო“, – გამახსენდა რომელიღაც წიგნში წაკითხული ფრაზა... „რა აზრი აქვს? – გავიფიქრე, – ხან შენ უყურებ ვილაცყეებს ზემოდან, ხან ვილაცყეები შენ გიყურებენ ზემოდან, რა აზრი აქვს?“ რაფას ხელისგულებით დავეყრდენი, დავანექი და რაფაზე შევხტი... ჩემი სისხარტე თავადვე გამიკვირდა... უაზრობა გვამსუბუქებს...

3

სამხედრო ფორმა თავისით ჩამეცვა... შემდეგ ავტომატი წამოვიდა ჩემკენ და ხელებში შემომეჩეჩა... აქეთ-იქით გავიხედე... ჯარისკაცებს შორის ვიდექი... სამ მწკრივად ვიდექით. გადავთვალე, მეორე მწკრივში მებუთე ვიყავი. ჩვენს წინ ოფიცერი იდგა და მომავალ მისიაზე გველაპარაკებოდა, ლაპარაკობდა ლათინურად. ამაზე უცნაური ის უფრო იყო, რომ მისი საუბრის შინაარსი მშვენივრად მესმოდა... ჩვენ უნდა აგველო მტრის მიერ წლების წინ დაპყრობილი ქალაქი...

სამხედრო ბაზის ჭიშკართან მივედი... კაბინიდან მორიგე ჯარისკაცი გამოვიდა და მკითხა, ვინ ვარ და რა მინდა. მე ამომწურავად ვუპასუხე, რა მინდოდა. რაც შეეხება შეკითხვას, ვინ ვიყავი, ამ კითხვაზეც შეძლებისდაგვარად ამომწურავად ვუპასუხე, თან საკუთარ თავს ვკითხე: „სინამდვილეში ვინ ვარ?“ ერთი ძველი სკეტჩი გამახსენდა, რომელშიც ეს შეკითხვა გაპაროდირებული იყო... მეგონა, გამეცინებოდა (აღრე ყოველთვის მეცინებოდა ამ სკეტჩის გახსენებაზე), მაგრამ არ გამეცინა... გაკვირვებული ვუყურებდი მორიგე ჯარისკაცს... მიკვირდა, რომ არ მეცინებოდა...

ფანჯრის რაფაზე ვიდექი, მარცხენა ხელი ფანჯრის ჩარჩოზე მქონდა მიდებული და ქუჩას ვუყურებდი... ვხედავდი მანქანებს, შენობებს, ადამიანებს, მესმოდა ხმაური. თვალები დავხუჭე... ვხედავდი ყვითელ წერტილებს შავ ფონზე და მესმოდა ხმაური. ერთ ადამიანად არასდროს მიმაჩნდა თავი, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ერთდროულად რამდენიმე ადგილზე ვიყავი, მაგრამ ერთი სიკვდილი მქონდა, აქედან გამომდინარე, ერთი სიცოცხლე... ოდნავ წინ გადავიხარე, თვალები არ გამიხელია. ალბათ თავს თვალდახუჭულები იკლავენ, შემოვიწიე და თვალები გავახილე... დავინახე ქუჩა, შენობები, ადამიანები, მანქანები და კიდევ – საკუთარი თავი ჰაერში... გაშეშებული ვიყავი. ხმაური მესმოდა,

შემდეგ ორივე ხელი დავიქნიე და უკან გადმოვფრინდი, იატაკზე ტრაკით მოვჯექი... სწრაფად წამოვდექი და ცას შევხედე... ცა ცარიელი იყო. სად გავქრი?

3

ვიდექი, ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან... მდინარე, ნაპირი, ტყე, მტერი... აქეთ-იქით ვიხედებოდი... „ეს სიზმარი აღარ არის“, – გავიფიქრე და შემეშინდა. თვალების გახელა დავაპირე, მაგრამ თვალები უკვე გახელილი მქონდა და კიდევ უფრო შემეშინდა. „ თვალები ჯერ რომ დავხუჭო, და მერე გავახილო? მაგრამ რომ ვერ გავახილო, ან ვერ დავხუჭო?“ გამახსენდა, რომ ომში ვიყავი... ვიდექი. ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან, მათ შორის, ომიც... თვალები დავახამხამე...

1

მორიგე ჯარისკაცმა მითხრა, რომ შტაბის უფროსი მოლაპარაკებზე იყო წასული... წარმოვიდგინე მაგიდა, მაგიდის ირგვლივ ხალხი. რალაცეებს ლაპარაკობენ, წინასწარ იცინან, რომ ვერაფერზე ვერ შეთანხმდებიან... ნებისმიერ ადამიანურ საქმეში უკვე იმდენი არასწორი არჩევანია გაკეთებული, რომ ადამიანური სამყარო ფატალური გახდა... ყველაფერი ისტორიის ბრალია, უფრო სწორად, ისტორიიდან გამოუსვლელობის, ისტორიაში დარჩენის სურვილის... მანქანაში

ჩავჯექი, კახა მიყურებდა, ელოდა, რას ვეტყვოდი, საით მოვთხოვდი წასვლას... რადიოს ოდნავ ჩავუწიე, კახას შევხედე და ვუთხარი:

„დაიკიდე, ყველაფერი დაიკიდე...“

„რამდენი ხნით?“ – მკითხა კახამ.

2

წიგნების თაროსთან მივედი, რამდენიმე წიგნი გამოვიღე, ფანჯარასთან მივედი და გადავყარე. კვლავ წიგნების თაროსთან დავბრუნდი, წიგნები გადმოვიღე და ისევ ფანჯარასთან მივედი, წიგნები გადავყარე... გავჩერდი, ამოვისუნთქე და თაროსთან მივედი...

3

ვიდექი, ყველაფერი თავისთავად დამშვიდდა... ვიდექი და მშვიდად ვფიქრობდი: „გალვიძება მინდა“.

2010 წ.